ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## კახა კალაძე: „დიდი გეგმები გვაქვს“

გვ.4

21 ივნისიდან
ილია ილფი
ევგენი პეტროვი
თორმეტი სკამი
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



ორშაბათი, 26 ივნისი, 2017 №149 (7384) ფასი: 50 თეთრი

# „ქართულ ოცნებაში“ კლანების დაპირისპირება დაიწყო“

გვ.4



გიგლა ბარამიძე: „ოქტომბრისთვის ბევრი რამე მოხდება“






გადმოსცემს თუ არა პოროშენკო საქართველოს სააკაშვილს

# „მარგველაშვილი ბოკერიას გაურიგდა“



სანდრო ბრეგაძე: „ვანო ზარდიაშვილი საარჩევნო სიაში ივანიშვილის გვერდის ავლით ჩაწერეს“

გვ.2





## გიგა ბუკია: „ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობის საქმეს აკეთებს“

გვ.5



## სოხუმი და ცხინვალი დევნილების დაბრუნებას ისევ არ თანხმდებიან



გვ.5

# მორიგი სკანდალი ციანიდის საქმის გარშემო — ირაკლი ფირცხალავა ირაკლი მამალაძეს აგენტობას აბრალებს

გვ.3







## სოსო ცინცაძე: „ჯეჯელავას ნაცვლად ხალხთან კახიშვილი სერგეენკო უნდა საუბრობდნენ“



გვ.3

ISSN 1987-9385

# „მარგველაშვილი ბოკერიას გაურიგდა“

**ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, სადაც პრეზიდენტ მარგველაშვილისა და გიგა ბოკერიას ფარულ შეხვედრაზე საუბრობს. სანდრო ბრეგაძის განცხადებით, ოპოზიციისა და მესამე სექტორის ბოიკოტი კონსტიტუციის ირგვლივ სწორედ ამ გარიგების შედეგია. აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს სანდრო ბრეგაძე პასუხობს.**







ნონა ცაბაძე

***– ბატონო სანდრო, თქვენ პრეზიდენტ მარგველაშვილის შეხვედრასა და მათ ფარულ გარიგებაზე საუბრობთ. კერძოდ, რა გარიგებაზეა საუბარი და რატომ უპირისპირდებით მარგველაშვილს?***

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო ის, რომ ე.წ. პრეზიდენტი მარგველაშვილი გახლავთ ლიბერალისტური, ქართველთმოძულე ძალების ბელადი და ის ცდილობს, გახდეს უპირობო ლიდერი ე.წ. ლიბერალისტური ფრთისა, რათა შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებში იყაროს კენჭი და კვლავ გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. ამ მიზნით ის მუდმივ კონტაქტში იმყოფება თავის ბავშვობის მეგობარ გიგა ბოკერიასთან, რომელიც ასევე გახლავთ ამ ფრთის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

***– მათი შეხვედრის შესახებ საიდან გაქვთ ინფორმაცია?***

– მათი შეხვედრის დეტალებზე მე მიამბო ერთმა კარგად ინფორმირებულმა წყარომ, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობს. ამ წყაროს ინფორმაციით, ეს შეხვედრა შედგა მხოლოდ ერთი მიზნით...

***– რა მიზნით?***

– იმ მიზნით, რომ საქართველოს კონსტიტუციაზე გამოეცხადებინათ საყოველთაო ბოიკოტი და ამის ერთადერთი მიზეზი იყო ის, რომ კონსტიტუციაში არ უნდა შევიდეს მუხლები, რომელთა მიხედვითაც უცხოელებისთვის ქართული მიწის გაყიდვა იქნება აკრძალული და ერთნაირსქესიანთა ქორწინება იქნება აკრძალული.

***– თუმცა ოპოზიცია სხვა მუხლებსაც უცხადებს ბოიკოტს... მათი შეხვედრის მიზანი ეს იყო?***

– სხვა სადავო მუხლები, რომლებზეც ისინი საუბრობენ, მათთვის მეორეხარისხოვანია. სხვათა შორის, გიგი უგულავამ როდესაც პრესკონფერენცია გამართა ორიოდე დღის წინ, განმარტა, თუ რატომ უცხადებს ბოიკოტს კონსტიტუციას მისი გუნდი. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამი საკითხი აღელვებთ.

***– კერძოდ?***

– პირველი არის ის, რაც მარგველაშვილს აწუხებს. ეს არის პრეზიდენტის არჩევის წესი. ამან ორ საკითხზე ისაუბრა კიდევ, ეს არის უცხოელებისთვის მიწის მიყიდვისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვა. ფაქტობრივად, ამ პრესკონფერენციით მან გაშიფრა კიდეც ამ ფარული მოლაპარაკებებისა და მათი რეალური მიზნების არსი.

***– სხვა მუხლებზე არ აქვთ პრეტენზია? იმავე საარჩევნო კოდექსზე?***

– რა თქმა უნდა, მათ არანაირად არ აღელვებთ კონსტიტუციის სხვა მუხლები, თუნდაც იგივე საარჩევნო გარემო, ეს არის მათთვის მეორეხარისხოვანი. მათთვის უმნიშვნელოვანესია, რომ უცხოელებზე ქართული მიწის მიყიდვა იყოს დაშვებული, ქართული მიწა გაიყიდოს და ამ ქვეყანაში ქართველები აღარ სახლობდნენ, ასევე გარყვნილება და ერთნაირსქესიანთა ქორწინება იქნეს დაკანონებული.

***– გამოდის, რომ ის პროცესი, რომელსაც შეუერთდა სრულიად ოპოზიციური სპექტრი, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ კონსტიტუციურ ცვლილებებს, ამ ყველაფერს სათავეში პრეზიდენტი უდგას და ეს მარგველაშვილ-ბოკერიას გარიგების შედეგია?***

– სხვა ოპოზიციურ პარტიებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, შემიძლია ვთქვა ერთი რამ, რომ ნაციონალური მოძრაობა, ბოკერიას ფრთა და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სოროსისგან იმართებიან – ესენი ყველანი გაერთიანებული არიან მარგველაშვილის გარშემო და მათი მთავარი მიზანია, ჩვენ მიერ ბრძოლით მოპოვებული მუხლები, რომელიც არის საქართველოსთვის სასიცოცხლოდ საინტერესო, არ იქნეს კონსტიტუციაში შეტანილი. დავიწყეთ ბრძოლა ამ საკითხების მიმართ, პირადად მე ძალიან დიდი წინააღმდეგობა შემხვდა. ამაში არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებული, არამედ, ქვეყნის გარეთ მყოფი ძალებიც იყვნენ ჩართული.

***– რომელ საკითხს გულისხმობთ?***

– ერთნაირსქესიანთა ქორწინებას. სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებიც ჩაერთვნენ ამაში, რომ როგორმე არ მომხდარიყო ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვა. ჩვენ სწორი ტაქტიკური ნაბიჯებით ვიბრძოლეთ, შევაგროვეთ 250 ათასი ხელმოწერა და ხელისუფლება ვაიძულეთ, დაგვყოლოდა ამ საკითხზე. ერთადერთი, ვინც ბოლომდე წინააღმდეგი წავიდა, ეს გახლდათ ე.წ. პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელმაც მაშინ ხელი არ მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო.

ის ნახევარი მილიონი თანამოქალაქის წინააღმდეგ წავიდა და სულში ჩააფურთხა მთელ საქართველოს. ასევე დიდი ბრძოლა გადავიტანეთ ქართული მიწის საკითხთან დაკავშირებით და აქაც დიდი წინააღმდეგობა სწორედ პრეზიდენტისა და გიგა ბოკერიას გუნდიდან წამოვიდა.

***– ანუ ეს გუნდი ერთად მოქმედებს?***

– რა თქმა უნდა, ეს არის ერთი გუნდი. მარგველაშვილი, ბოკერია-უგულავა, ნაციონალები და სოროსელი არასამთავრობოები. გიორგი მარგველაშვილი სწორედ ამ გუნდის ლიდერია.

***– არა მარტო ეს გუნდი, სრულიად ოპოზიცია უპირისპირდება ხელისუფლებას კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების გამო. გვესმის შეფასებები, რომ გარდაუვალია დიდი აქციები, რომ ამ ხელისუფლებას კომბლებით გარეკავენ და ასე შემდეგ. რას ელოდებით? სერიოზული კრიზი აქვს „ოცნებას“ და იქნება თუ არა მრავალრიცხოვანი აქციები?***

– პოლიტიკური კრიზისი, შეიძლება ითქვას, შემოდგომაზე გარდაუვალია. ასევე გარდაუვალია ქუჩის აქციებიც. მე მინდა, ოპოზიციის იმ პატიოსან ნაწილს მივმართო, რომლებიც ამ პროცესებში არიან ჩართული: რა თქმა უნდა, მათ შესაძლოა ჰქონდეთ კეთილშობილური მიზნები, მარამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დადგნენ მოღალატე ნაციონალური მოძრაობის, მოღალატე ბოკერიას გუნდისა და მოღალატე პრეზიდენტის გვერდით. ისინი უნდა გაემიჯნონ მათ. ჩემთვის მიუღებელი იყო, როდესაც მოღალატე ნაციონალებთან ერთად ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი. მოიცილონ ეს მოღალატეები და ისე იბრძოლონ თუნდაც იმ საარჩევნო სისტემის შესაცვლელად. ამ პროცესს მთლიანად სათავეში უდგას მარგველაშვილი მიხეილ სააკაშვილთან ერთად. ასეთ გუნდს რომ გვერდით დაუდგები, დანარჩენის შეფასება თქვენთვის მომინდვია.

***– თავადვე ამბობთ, რომ „ოცნების“ ხელისუფლება კრიზისშია. რამდენად შეძლებს ამ კრიზისისგან თავის დაღწევას, მით უმეტეს, წინ ადგილობრივი არჩევნებია?***

– სიმართლე გითხრათ, ადგილობრივ არჩევნებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. თბილისში „ოცნების“ კანდიდატის გამარჯვება ფაქტობრივად გარანტირებულია. როდესაც კალაძეს დაუპირისპირდებიან უდუმაშვილი და ხოშტარია, იქ კალაძის გამარჯვება ძალიან დიდი უპირატესობით გარდაუვალია. დარწმუნებით შემიძლია ამის თქმა, რომ კალაძე დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს, თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ეს არ არის დიდად მნიშვნელოვანი.

***– აბა, რა არის მნიშვნელოვანი?***

– ადგილობრივ არჩევნებზე ბევრად მნიშვნელოვანი იქნება ის პროცესი, რომელიც წარიმართება ქუჩაში. ქუჩის პროცესები აუცილებლად წარიმართება!

***– ამით თუ ისარგებლებენ ის ძალები, რომლებზეც თქვენ აპელირებთ?***

– რა თქმა უნდა. ე.წ. ლიბერალისტური ძალები ამ პროცესს აუცილებლად გამოიყენებენ. როდესაც ახალგაზრდა რეპერები დაიჭირეს, მე ამ აქციაზე დავინახე ტენდენცია, რომ ეს ბავშვები იქ შეკრებილ ლიბერალისტებსა და გამოერეკლედეისაძეებულ საზოგადოებას აბსოლუტურად არ აინტერესებდათ.

***– მაშ, რატომ შეიკრიბნენ?***

– იქ ფაქტობრივად შედგა რეპეტიცია იმისა, რაც უნდა განვითარდეს შემოდგომაზე! იქ ჩვენ დავინახეთ ის ანტიქართული ძალები, რომლებიც აუცილებლად გამოვლენ ქუჩაში და იბრძოლებენ იმისათვის, რომ თავიანთი ინტერესები გაატარონ.

***– მივდივართ კიდევ ერთი რევოლუციისკენ?***

– მათ გარდა სხვა პოლიტიკური ძალებიც გამოვლენ ქუჩაში. ეს არ იქნება ერთი კონკრეტული პოლიტიკური მიმართულების აქციები. ეს ყველაფერი უფრო გლობალური მასშტაბის იქნება და აუცილებლად შეარყევს და დაანგრევს ამ ხელისუფლებას! ჩვენ დავინახეთ, რა დაემართა ხელისუფლებას, როდესაც რამდენიმე ათასი კაცი გამოვიდა და, წარმოიდგინეთ, ასიათასობით ადამიანი რომ გამოვა, რა მოხდება. დღეს ხელისუფლებაში არ ჰყოფნით იმის ანალიზის უნარი, რომ ეს პროცესები დაინახონ და პრევენციული ღონისძიებები გაატარონ.

***– ივანიშვილი „ქართული ოცნების“ უკანასკნელი შანსია, რომელიც მათ გადაარჩენსო. ჩაერთვება კიდევ ყოფილი პრემიერი ამ პროცესებში?***

– დიდი ხანია ბატონ ივანიშვილთან კომუნიკაცია არ მქონია და დანამდვილებით არ ვიცი, რას ფიქრობს ის ამ პროცესებზე. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, დღეს მთელი ხელისუფლება ივანიშვილის ავტორიტეტზე დგას. ხვალ დილით ივანიშვილმა რომ განაცხადოს, რომ მიდის უცხოეთში საცხოვრებლად და ეცლება პროცესებს, ხელისუფლება მთლიანად ჩამოიშლება. ერთს გეტყვით: ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად აქვს იმის საფუძველი, რომ საკუთარ გუნდზე განაწყენებული იყოს.

## სანდრო ბრეგაძე: „ვანო ზარდიაშვილი საარჩევნო სიაში ივანიშვილის გვერდის ავლით ჩაწერეს“

***– რატომ?***

– ჯერ ერთი, მის პოლიტიკური გუნდში თავმოყრილი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ივანიშვილისთვის მიუღებელია. ამ შემთხვევაში საპარლამენტო გუნდს ვგულისხმობ, რომელიც სავსეა ყოფილი ნაციონალებით.

***– კი მაგრამ, ვინ შეადგინა და დააკომპლექტა ეს გუნდი? როგორ მოხვდნენ პარლამენტში მისი გვერდის ავლით?***

– დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილმა არ იცოდა, რომ საპარლამენტო სიაში სვამდნენ ზარდიაშვილს, რომელიც იყო ადეიშვილის მოადგილე, რომ ქართლის პირველ ვიცეგუბერნატორად დანიშნეს კობერიძე, რომელიც გახლდათ გენერალური პროკურორის მოადგილე სააკაშვილის მმართველობის დროს და რომლის ხელმოწერითაც ათასობით ადამიანია წასული ციხეში. საუბარია კახა კობერიძეზე, ცნობილ ჯალათზე! ის დაახლოებით ერთი თვის წინ დაინიშნა ქართლის ვიცეგუბერნატორად. მე საუბარი მაქვს გამოკვეთილ ჯალათებზე, თორემ ისე ნაციონალებიდან გადმოპორტირებული იმდენია, რომ მათი გვარების ჩამოთვლას თქვენი გაზეთის ფურცლები არ ეყოფა. ბიძინა ივანიშვილმა ამის შესახებ ნამდვილად არ იცოდა. „ოცნებაში“ ბევრმა არ იცოდა, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის წევრებით აივსებოდა.

***– ვინ შეძლო ივანიშვილის გვერდის ავლით ამ ხალხის მმართველ გუნდში შეყვანა?***

– სწორედ ეს არის მთავარი კითხვა. ზუსტად ვიცი, რომ ვინც ეს გააკეთა, ფაქტობრივად საქმის კურსში არ ჩააყენა ლიდერი. იქ სერიოზული შიდაბრძოლები მიმდინარეობს. ამ დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილმა უნდა მოიკითხოს, ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც ხელისუფლება ნაცჯალათებით გაავსო.

---



## „ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში არ ჩაერთვება“

– ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში, სავარაუდოდ, არ ჩაერთვება.

ამის შესახებ განცხადება მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ნუკრი ქანთარიამ გააკეთა.

– ალბათ, არ ჩაერთვება ის იმიტომ, რომ გასულია პოლიტიკიდან ამ შემთხვევაში და, წინა პერიოდს თუ გავიხსენებთ, მან, როგორც მოქალაქემ ჩათვალა, რა თქმა უნდა, გვერდში უნდა დასდგომოდა იმ გუნდს, რომელიც მან ჩამოაყალიბა. ახლაც შეიძლება მას ეს აზრი გაუჩნდეს და, როგორც მოქალაქეს, ამისი უფლება აქვს, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

პირველი რადიო

---

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მორიგი სკანდალი ციანიდის საქმის გარშემო — ირაკლი ფირცხალავა ირაკლი მამალაძეს აგენტობას აბრალებს

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის განხილვა დღეს, 26 ივნისს განახლდება. საქმის გარშემო კი ახალი სკანდალი მწიფდება. შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავა პროკურატურის მთავარ მოწმესთან დაკავშირებით სკანდალურ ინფორმაციას ასაჯაროებს.

ამის გარდა, გააქტიურდა კიდევ ერთი სკანდალი, რომელიც ციანიდის საქმეს უძღოდა წინ. ციანიდის სკანდალამდე რამდენიმე კვირით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეუფე იაკობის მკვლელობა იგეგმებოდა.

ყოფილი მაღალჩინოსანი რუსთავი 2-სთვის ციხიდან გამოგზავნილ წერილში ამბობს, რომ მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე სუს-ის აგენტ-პროვოკატორია.

ფირცხალავა ამბობს, რომ ის ბევრ სკანდალურ ინფორმაციას ფლობს, მაგრამ მათი გამჟღავნებისგან თავს იკავებს, მოწმე მამალაძესთან დაკავშირებით კი იმიტომ დაარღვია დუმილი, რომ სუს-მა თავისი აგენტი თავად გაშიფრა.

ყოფილ მაღალჩინოსანს თუ დავუჯერებთ, ირაკლი მამალაძე ძალოვნებთან ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს თანამშრომლობდა.

მისი თქმით, კუდი (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი) პროკურატურის მთავარ მოწმეს სასულიერო პირების, ჟურნალისტებისა და ლგბტ თემის წარმომადგენლების წინააღმდეგ იყენებდა.

— ირაკლი მამალაძე გადაბირებულ იქნა ქართული სპეცსამსახურების მიერ, ფსევდონიმით „პრესა". მას აქტიურად იყენებდა კუდი მასმედიაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მისაღებად, საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მისაღებად, ლგბტ პირებზე მაკომპრომეტირებელი მასალების მოპოვებისთვის, მათ შორის პირადი ცხოვრების კადრების მოპოვებისთვის.


ირაკლი მამალაძე

იგი იყო ე.წ. აგენტი-პროვოკატორი, რომელსაც ეძლეოდა კონკრეტული დავალება, ამა თუ იმ ჟურნალისტის, სასულიერო პირისა თუ ლგბტ თემის წარმომადგენლის ნდობის მოპოვებით მიეღო მაკომპრომეტირებელი კონკრეტული ინფორმაცია და ამ ინფორმაციას უკვე სხვა თანამშრომელი იყენებდა მათ გადმოსაბირებლად. ამ გზით არაერთი სასულიერო პირი, ჟურნალისტი და ლგბტ თემის წარმომადგენელი იქნა გადმობირებული სპეცსამსახურების მიერ, — წერს ირაკლი ფირცხალავა ციხიდან გამოგზავნილ წერილში.

ფირცხალავას ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს ირაკლი მამალაძე და ამბობს, რომ არც კუდის აგენტი ყოფილა და არც სუს-ის. ის ფარცხალაძისგან კონკრეტული ფაქტების დასახელებას ითხოვს. მას სწამს, რომ ყოფილი მაღალჩინოსნის ბრალდებებს არავინ დაიჯერებს.


ირაკლი ფირცხალავა

— ისეთი ურეპუტაციო, მდაბიო და სერიული მკვლელი, როგორიც არის ირაკლი ფირცხალავა, რომელმაც საკუთარი სიმართლე ვერ დაამტკიცა სასამართლოში, ჩემს აგენტობაზე რომ საუბრობს, ცოტა უხერხულია.

ძალიან მაინტერესებს, რომელ ოპერაციებში მიმიღია მონაწილეობა, როცა ამბობს, რომ სამმაგი აგენტი ვარ და ინფორმაციას ვაგროვებ ჟურნალისტებზე, სასულიერო პირებსა და ლგბტ-ებზე. როგორ შეიძლება, ადამიანმა ამდენი მიმართულებით იმუშაოს. მე ვყოფილვარ მაშინ ყველაფერი ამ ქვეყანაში, სკოტლანდ იარდი, ფებეერი. სრული აბსურდია.

ფირცხალავას არ ვიცნობ, ვიცი, რომ მან ჩაცხრილა კორტებთან ადამიანები. დაასახელოს, კონკრეტულად რომელ ოპერაციაში მიმიღია მონაწილეობა, რომელი ჟურნალისტი, სასულიერო პირი ან ლგბტ მიმხელია ამ დრომდე? — კითხულობს პროკურატურის მთავარი მოწმე.

ირაკლი მამალაძე ამბობს, რომ ის სასულიერო პირებს არ იცნობს, ერთადერთი, ვისთანაც მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მამა გიორგი მამალაძეა.

— ის ჩემი ძმისშვილის ნათლიაა. სხვა სასულიერო პირებს არ ვიცნობ, — აცხადებს ირაკლი მამალაძე.


მეუფე იაკობი

23 ივნისს მან სასამართლოს ჩვენება მისცა. პროკურატურა აცხადებს, რომ მთავარი მოწმის ჩვენებით მამა გიორგის ბრალეულობა დადასტურდა, ადვოკატების თქმით კი ამ ჩვენებამ ბრალდება გადატეხა.

არ არის გამორიცხული, ციანიდის საქმეს დაუკავშირდეს ექსპერტ არჩილ გამზარდიას ფეისბუქ-სტატუსი. მან იანვარში დაწერა, რომ იგეგმებოდა მეუფე იაკობის მკვლელობა.

მისი თქმით, მან ეს ინფორმაცია სანდო წყაროსგან მიიღო. მან მკვლელობის სავარაუდო შემსრულებელიც დაასახელა და გეგმაც კი გააჟღერა.

გამზარდიას სტატუსის საფუძველზე მის მიერ ნახსენები პიროვნება ჯერ სამხედრო პროკურატურამ, ხოლო შემდეგ მთავარმა საგამოძიებო უწყებამ დაკითხა. დაკითხულია თავად გამზარდიაც.

არ არის გამორიცხული, ის ციანიდის საქმის განხილვაზეც გამოიძახონ. მან ასევე სოციალური ქსელით გაავრცელა ინფორმაცია, რომ შესაძლოა პატრიარქის ლიკვიდაცია მომხდარიყო. ეს ინფორმაცია ციანიდის სკანდალამდე ცოტა ხნით ადრე გაჟღერდა.

❖ ❖ ❖

ციანიდის საქმის კიდევ ერთი სკანდალური გაგრძელება იყო საპატრიარქოს მიერ აუდიოჩანაწერის გავრცელება. ეს ჩანაწერი პატრიარქისა და დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრების შეხვედრას ასახავდა.

დეკანოზის ძმამ თორნიკე მამალაძემ ამ ჩანაწერისთვის ექსპერტიზის ჩატარებაც მოითხოვა.

25 ივნისს ცნობილი გახდა, რომ ეს ჩანაწერი დაიბლოკა. ამის შესახებ ინფორმაცია თავად საპატრიარქომ გაავრცელა.

— ჩვენ მიერ გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერი, რომელიც სრულად ასახავდა დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრების საპატრიარქოში შეხვედრას, გაურკვეველი მიზეზების გამო მოულოდნელად დაიბლოკა და უკვე 25 ივნისის დილიდან იგი საიტზე აღარ არის. ვარკვევთ ამის მიზეზებს, მანამდე კი დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, იგივე ჩანაწერი იხილონ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" გვერდზე, — აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.

# სოსო ცინცაძე: „ჯეჯელავას ნაცვლად ხალხთან კახიშვილი და სერგეენკო უნდა საუბრობდნენ"

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს განიხილავს.

***— ბატონო სოსო, ოპოზიცია ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ კონსტიტუციის მიღების პროცესი შეაჩეროს და ის ვენეციის კომისიას დაუბრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქუჩის აქციებით იმუქრება. აქვს უნარი დღეს ოპოზიციას, რამე შეცვალოს?***

— ოპოზიციამ და არასამთავრობო სექტორმა ხელისუფლების ლუსტრირება მოახდინეს. ოპოზიციამ ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესში ხელისუფლება მარტო დატოვა, თითქოს პარტიულ ნორმატიულ აქტს იღებდნენ და ეს არ იყოს ქვეყნის მთავარი კანონი. ეს შეძლო ოპოზიციამ. რაც შეეხება ხალხის ქუჩაში გამოყვანას, რასაკვირველია, ამას დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისი დატვირთვა აქვს, მაგრამ ქუჩაში ხალხის გამოსვლა ბევრ სხვა ფაქტორზეც არის დამოკიდებული. რამდენად გამოვა ხალხი დღეს ქუჩაში? არ გამოვა, განა იმიტომ, რომ ხელისუფლებით არის მოხიბლული და ნდობის ვოტუმი აქვს მიცემული, სულაც არა. სულ სხვა მიზეზით უნდა ავხსნათ, რატომაც არ გამოვა ხალხი ქუჩაში. წლების განმავლობაში ჩვენ ვნახეთ, როგორ გამოდიოდა ხალხი ქუჩაში, დღეს ხალხი დაიღალა და თან ეს უკვე გავლილი ეტაპია.

***— რაღაც ახლის მოფიქრება მოუწევს ოპოზიციას?***

— რასაკვირველია, კრეატიული იდეის მოფიქრება მოუწევს. როგორი იქნება სოციალური ფონი, უმუშევრობის დონე, ვის გაათავისუფლებენ სამსახურიდან, როგორი იქნება ლარის კურსი, ფასები როგორი იქნება, მაგრამ ეს მაინც ის სოციალური საკითხებია, რომლებზეც არასდროს გამოდიოდა საშუალო სტატისტიკური ქართველი ქუჩაში. მას უფრო მეტი სჭირდება ამისთვის, მას პირადად, მის ღირსებას უნდა შეეხოს. ასე საკითხი ჯერ არ დგას.

თუმცა, ვფიქრობ, ხელისუფლებამ სერიოზული შეცდომა დაუშვა, როდესაც თავისი საარჩევნო დაპირება უკან წაიღო, ვგულისხმობ საარჩევნო სისტემას, მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას. სერიოზული შეცდომა დაუშვა „ქართულმა ოცნებამ" მაშინ, როდესაც გადაწყვიტა, რომ მას მაჟორიტარები უშველის. ასე ფიქრობდა თავის დროზე სააკაშვილიც, მაგრამ, როდესაც დადგა დრო, რომ ნაციონალურ მოძრაობას უნდა წაეგო არჩევნები, წააგო კიდეც, არაფერმა უშველა. ყველა ხელისუფლება, რომელიც ხალხის ნების საწინააღმდეგოდ წავა, აგებს ადრე თუ გვიან. ამას თუ ვერ გააცნობიერებენ დღესვე, მერე უკვე გვიან იქნება.





***— ასე არ ფიქრობენ „ქართულ ოცნებაში", მეტიც, ისინი ამბობენ, რომ ვერ თანხმდებიან და ეს არის პლურალიზმი.***

— რა საინტერესოა, ეს არის დემოკრატია, მაგრამ წინასაარჩევნოდ ხალხს დაპირება რომ მისცეს, ეს არაფერი. ახლა რომ „გადაგვაგდეს", ამას რომელი დემოკრატიითა და პლურალიზმით გაამართლებენ?!

მაჟორიტარები ყველა დროში კარგად გამოცდილი ამბავია, რომ იმ ნავში გადასკუპდებიან, რომელიც მიადგება. ვინაიდან ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ღიად არ გააყალბოს არჩევნები, ცემა-ტყეპის ფონზე არ ჩაატაროს, მას სჭირდება ლეგიტიმური გარანტია, რომ ძალაუფლებას კვლავ შეინარჩუნებს. ეს არის და ეს მთელი იწილობიწილო. კანონს მიიღებს და ამ კანონით არჩევნების ნებისმიერი შედეგები იქნება კანონიერი, მაგრამ რამდენად იქნება სამართლიანი?! სწორედ აქ იჩენს ხოლმე თავს პრობლემები, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას უკვე შეეგუა ხელისუფლება. დღეს, სიმართლე გითხრათ, მე სულ არ მაინტერესებს, რას იზამს ოპოზიცია. მე მაინტერესებს, რას იზამს ხელისუფლება, რაზეა ის წამსვლელი, დაუშვებს კი შეცდომას, თუ გონს მოეგება. თუ შეცდომას დაუშვებს, მაშინ ოპოზიცია სულაც არ იქნება საჭირო. გაბრაზებული ხალხი მერე რას შვრება ხოლმე, ჩვენ კარგად ვიცით, ამის მეტი რა მინახავს, მთელი ჩემი ცხოვრება ამას ვუყურებ.

***— ბატონო სოსო, რამდენად შესაძლებელია, რომ ხელისუფლებამ მოლაპარაკება დაიწყოს ოპოზიციასთან და ის ხმები მოიპოვოს, რომლებიც აკლდება თუნდაც საარჩევნო სისტემის შესაცვლელად?***

— ამას, რასაც ახლა თქვენ ამბობთ, ძალიან მაღალი პოლიტიკური კულტურა სჭირდება. ეს, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის გათვალისწინებით, ძალიან ძნელად წარმომიდგენია. კი არის 21-ე საუკუნე, მაგრამ შუა საუკუნეების მსგავსად იქცევიან ჩვენი პოლიტიკოსები, მხოლოდ ჩვენ, არავითარი განსხვავებული აზრი, ყველაფერი ჩვენ გვინდა. ეს აზროვნება ძალიან შორს არის დემოკრატიისგან. ასევე, რა გამოაჩინა მთელმა ამ პროცესმა, რომელსაც თვალყურს ვადევნებდით? როგორც ჩანს, უკვე „ოცნებასაც" აღარ სჯერა, რომ ხელისუფლებაში კვლავ დარჩება და ამიტომ არის ასეთი ხელების გადაგრეხის პოლიტიკით — მაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და რასაც მინდა, გავაკეთებ. აბა, თქვენ მართლა გჯერათ, რომ ბიზნესმენი მაჟორიტარები ვერ გადაარწმუნა ვერც პრემიერმა, ვერც ბიძინა ივანიშვილმა და ვერც ვერავინ,





რომ დღეს ქვეყანას ასე სჭირდება და ეს ნაბიჯი უნდა გადავდგათ.

***— უმრავლესობა ამბობს, რომ პრეზიდენტის ქმედებები მიმართულია იქითკენ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი შეიქმნას.***

— უმრავლესობას ურჩევნია, სხვაგან ეძებოს კრიზისის საფუძველი, იქ, სადაც არის, თორემ, ვინც არ უნდა იყოს ის, ვერცერთი პიროვნება, ცალკე აღებული, პოლიტიკური კრიზისის შექმნას ვერ შეძლებს. წარმოიდგინეთ, თუ ხალხი კმაყოფილია, თუ მთავრობა აწყობილი საათივით მუშაობს, თუ პარლამენტს დიალოგი აქვს თავის ამომრჩეველთან, ვინ უნდა შექმნას პოლიტიკური კრიზისი?! ეს ხომ შეუძლებელია.

როდესაც სოციალური ფონი ძალიან მძიმეა ქვეყანაში, მაშინ რამდენადაც ჩუმად იქნებიან მთავრობის წევრები, საერთოდ აღარ დაენახვებიან ხალხს, მით უკეთესია. მაგალითად, თუნდაც ჯეჯელავას განცხადებებმა რამდენი პუნქტით ასწია დუღილის ტემპერატურა, გადით ქუჩაში და ხალხს ჰკითხეთ, მოსწონთ მისი განცხადებები? მე ვურჩევდი მთავრობას, ჯეჯელავას ნაცვლად თუ სათქმელი აქვთ ხალხისთვის რამე, საზოგადოებაში უფრო პოპულარული მინისტრები არიან და ისინი გამოიყვანონ.

***— ვინ არის ასეთი, თქვენ რას იტყვით?***

— მაგალითად, კახიშვილი, სერგეენკო. ამ ადამიანებს ხალხი ენდობა, მათი სჯერათ და კომუნიკაციაც სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ ხალხთან. ეს მინისტრები უნდა საუბრობდნენ ხალხთან. მერწმუნეთ, დუღილის ტემპერატურა დაიწევს. გახსოვთ, არაპოპულარული სახეები როგორ გადამალა თავის დროზე სააკაშვილმა? ეს იყო სერიოზული რჩევა, რომელიც მან გაითვალისწინა.

# „ქართულ ოცნებაში“ კლანების დაპირისპირება დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

## გიგლა ბარამიძე: „ოქტომბრისთვის ბევრი რამე მოხდება“



რა პროცესებს უნდა ველოდოთ შემოდგომაზე, როგორ ებრძვიან მთავრობაში კლანები ერთმანეთს, რის ჩაწერა დაავიწყდა „ოცნებას“ კონსტიტუციაში, რას მოიმოქმედებს პრეზიდენტი, რა სიურპრიზი დახვდება საქართველოში ჩამოსულ პეტრო პოროშენკოს? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის წევრი, ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***— კონსტიტუციასთან დაკავშირებით ვნებათაღელვა არ წყდება. „ოცნება“ ამბობს, რომ ასეთი სახალხო კონსტიტუცია საქართველოს არასდროს ჰქონია. ოპოზიციის მტკიცებით კი ეს ყველაზე საშინელი კონსტიტუციაა. თქვენ რას იტყვით?***

— ის, რაზეც „ქართული ოცნება“ ამდენს ლაპარაკობს, კონსტიტუცია არ არის. ეს არის მათი შიდაპარტიული დოკუმენტი. კარგი იქნებოდა, თუ ამ დოკუმენტში პირდაპირ ჩაწერდნენ, რომ ხელისუფლებაში 20-25 წლით აპირებს დარჩენას.

ამათი საქმიანობა მახსენებს ცნობილ ქართველ ავანტიურისტ აშორდიას. ის წარმოშობით ქუთაისიდან გახლდათ და საერთაშორისო დონეზე იყო გასული. მას ნებისმიერი დოკუმენტის, სიგელ-გუჯრის გაყალბება შეეძლო. ის მეოცე საუკუნის დასაწყისში საოცრად პოპულარული იყო. „ოცნების“ ნაწილი კოლექტიური აშორდიაა. ისინიც ყველაფერს აყალბებენ. ვენეციის კომისია წყაროზე წაიყვანეს და წყალი არ დაალევინეს.

მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა არის კონსტიტუცია. ისინი მაგონებენ იმ რუს ოფიცრებს, ხმალამოღებულები რომ გამოვარდნენ და ყვიროდნენ, გავათავისუფლოთ ქალბატონი კონსტიტუცია სატუსაღოდანო. იმათ ქალი ეგონათ კონსტიტუცია, „ოცნების“ დეპუტატებს კი ის შიდაპარტიული დოკუმენტი ჰგონიათ. რუსი ოფიცრებისგან მხოლოდ ის განასხვავებთ, რომ ხმლების ნაცვლად ხელში პლანშეტები უკავიათ.

***— თქვით, რომ ამ დოკუმენტში პირდაპირ უნდა ჩაეწერათ, ხელისუფლებაში 20-25 წელი ვაპირებთ დარჩენასო. ამასთან დაკავშირებით მინიშნებებს სხვებიც აკეთებენ. თქვენი აზრით, შეძლებენ ამ ცვლილებების დახმარებით ხანგრძლივი დროით ხელისუფლების შენარჩუნებას?***

— თავის დროზე სააკაშვილმა კონსტიტუციაში სათავისო ცვლილებები შეიტანა. ის საკუთარ თავზე მოირგო და ეგონა, კიდევ დიდი ხნით დარჩებოდა ხელისუფლებაში. ამ ცვლილებებიდან ძალიან მალე საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა.

ნაციონალების მსგავსად, ამათაც ყველაფერი ჯიბეში აქვთ ჩადებული და ძალაუფლებით ლაღობენ. როდესაც ძალაუფლებით ასე ლაღდებიან, შემთხვევითობა და რეალობა ძალიან წამოარტყამს ხოლმე თავში. ასე მოუვიდათ ნაციონალებს და ასე მოუვა „ოცნებასაც“.

როდესაც ამომრჩევლის უმცირესობის მიერ არჩეული პარტია პარლამენტში ქმნის საკონსტიტუციო უმრავლესობას, მას ეს უმრავლესობა ბუმერანგივით უკან მიუბრუნდება და ცხვირ-პირში მოხვდება. ეს სახელმწიფოსთვის არის ცუდი, თორემ ესენი ძალიან მალე დამთავრდებიან. გარდა იმისა, რომ მათ ხალხის მხარდაჭერა არა აქვთ, გუნდის შიგნითაც სერიოზული დაპირისპირებაა.

***— რა დაპირისპირებაზე საუბრობთ?***

— ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. საკონსტიტუციო ცვლილებებზე დაჭამეს ერთმანეთი. აქ სერიოზული კლანური დაპირისპირებაცაა. ოთარ ფარცხალაძის კლანი რომელიღაც კლანმა მთლიანად ჩააჩოჩა. სამსახურებიდან ის ხალხიც კი გაუშვეს, რომლებსაც ყოფილი მთავარი პროკურორისთვის ხელი ჰქონდათ ჩამორთმეული.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა რომ ერთ დღეს დაწერეს განცხადებები, შემთხვევითობა იყო? ეს იყო კლანური დაპირისპირების ერთი მაგალითი, რომელზეც კომენტარი არავინ გააკეთა.

გუნდში ისეთი ამბები მიდის, საკადრო გადაწყვეტილებასაც ვერ იღებენ. ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ გვყავს. ძალიან ბევრი მიმართულებით ჩაფლავდნენ და დღე ისე არ გავა, რაიმე სკანდალში არ გაეხვივნენ.

მსუქან კატასავით რომ იპარება განათლების მინისტრი სხვა ქვეყანაში და მათ პრეზიდენტს ხვდება, ამას იქაური მედიით უნდა ვიგებდეთ? ყოფილი და მოქმედი ჩინოსნები ერთმანეთს რომ თავში ურტყამენ, ამასაც ან უცხო ქვეყნიდან, ან მედიისგან ვიგებთ.

ესენი უნიჭო მეხანძრეებივით დარბიან, ხან ერთ ხანძარს გადაფარავენ, ხან მეორეს. ამ თავიანთი უმოქმედობით სახელმწიფოს აზიანებენ. გადედლებული მამლების და გამამლებული დედლების ზეობას სიკეთე არცერთი ქვეყნისთვის არ მოუტანია.

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის 3 პუნქტი გამოქვეყნდა, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს რუსეთთან ურთიერთობა. ტილერსონის დოკუმენტში ბოსნია-ჰერცეგოვინიდან დაწყებული, უკრაინით დამთავრებული, ყველაფერზეა საუბარი, მაგრამ საქართველო ნახსენებიც კი არ არის. არადა, იქ დნესტრისპირეთზეც არის საუბარი, ბელორუსზეც. სად არის ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო? გამოვიდნენ და აგვიხსნან, რატომ არ მოხვდა საქართველო ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში.

1.700.000-ზე მეტი ემიგრანტი ჰყავს საქართველოს. მათი აქ დაბრუნებისა და დასაქმების გეგმა არც კი შეუმუშავებიათ. სამაგიეროდ, ამ 5 წლის განმავლობაში 32.000 ადამიანს მიანიჭეს საქართველოს მოქალაქეობა ისე, რომ მათი ბიოგრაფიები არც კი შეუსწავლიათ.

ეკლესიის წინააღმდეგ ისეთი დარტყმები, როგორიც ახლა ხორციელდება, კომუნისტების დროსაც არ განხორციელებულა.

***— ფიქრობთ, რომ რაც დღეს ეკლესიის გარშემო ხდება, „ოცნების“ ბრალია?***

— ფაქტია, ამათ დროს დაარტყეს ყველაზე მეტად ეკლესიას. ამ დღეებში საპატრიარქომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახისა და პატრიარქის შეხვედრის ჩანაწერი გამოაქვეყნა. შეხვედრის დასაწყისში პატრიარქმა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ილია II ამბობს, რომ ეს ქმედებები არა მამა გიორგის, არამედ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ არის მიმართული.

ამაზე მეტი რა უნდა გვითხრას სულიერმა ლიდერმა. ასეთ რამეებს აკეთებენ და მერე ეკლესიაში მიძვრებიან, სანთლებს ანთებენ და ფარისევლობენ.

***— ხელისუფლების უნიათობა გასაგებია, მაგრამ ხალხი ამას გაგებით რატომ ეკიდება?***

— იმიტომ ვეკიდებით, რომ თეიმურაზ ხევისთავიშვილი გვჭირს. ქვეყანას არა აქვს ეკონომიკა. ჩვენი ჯარი რეგიონში ყველაზე სუსტად დასახელდა. უცხოურ სამხედრო ჟურნალებში გამოქვეყნებულია ამა თუ იმ ქვეყნების სამხედრო პოტენციალის მონაცემები, სომხეთი და აზერბაიჯანი როგორც შემადგენლობით, ასევე შეიარაღებით. არადა, ტერიტორიების 20% პროცენტი დაკარგული გვაქვს.

ჩვენი საზღვრები ნელ-ნელა აქეთ იწევს, სახეზე გვაქვს მცოცავი ანექსია და ესენი ევროპა, ევროპაო გაიძახიან. აი, ეგაა ხევისთავიზმი. ამ კაცს მამული წაართვეს, ცოლი გაუუპატიურეს და ლოიდ ჯორჯს ევროპულ ცივილიზაციასა და ზანზიბარის ირიგაციაზე წერილებს წერდა.

***— დიდი ხნის განმავლობაში პრემიერი კვირიკაშვილი პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებდა. ექსპერტები მას პირდაპირ მოუწოდებდნენ პოზიციის დაფიქსირებისკენ. კვირიკაშვილმა თავისი პოზიცია გამოხატა და ახლა პოზიციის გამო დაიწყეს მისი კრიტიკა. თქვენ რას ფიქრობთ პრემიერის განცხადებაზე?***

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის კონსტიტუციის საკითხებში ჩართული არ იყო. ეს პროცესი თავის თავზე ფრაქციამ, პარლამენტის სპიკერმა და გაუცინარმა ჩუგოშვილის ქალმა აიღეს. პრემიერი ამ პროცესს ან განარიდეს, ან თავად განერიდა.

ჩემი აზრით, ის უფრო თავად განერიდა ამ პროცესს, რადგანაც იცოდა, რა შედეგით დასრულდებოდა იგი. „ოცნების“ მომზადებული ცვლილებები არავის მოსწონს და ხელისუფლება თავის მართლება-განმარტებებს ველარ აუდის. დავალებამიცემულივით გამოვიდა პრემიერი. შინაგანად მჯერა, რომ არ იზიარებდა, რასაც ამბობდა.

***— თუ არ იზიარებდა, რატომ გამოვიდა?***

— იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. პრემიერია და რაღაც უნდა ეთქვა. კიდევ ვიმეორებ, დარწმუნებული ვარ, რომ ის „ოცნების“ მიღებულ ცვლილებებს არ იზიარებს. თავის გამოსვლაში პრემიერმა „ოცნების დამსახურებად გაასაღა კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციისა და მიწის გაყიდვის აკრძალვის ჩაწერა. არადა, ეს მეორე საკითხი ჩვენმა პარტიამ წამოსწია, მერე სხვებიც შემოგვიერთდნენ. „ოცნების“ დეპუტატები მანამდე ირონიულად გაიძახოდნენ, მიწა რატომ არ უნდა გაიყიდოს, ვინმე ზურგზე მოიკიდებსო?!

ამ შიდაპარტიულ დოკუმენტს, რომელსაც კონსტიტუციას უწოდებენ, ოქტომბერში დაამტკიცებენ, მაგრამ იქამდე ცხრა წყალი ჩაივლის. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ოქტომბრამდე ბევრი რამე შეიცვლება.

***— უფრო კონკრეტულად შეიძლება გვითხრათ, რა შეიცვლება?***

— დიდი საკადრო ცვლილებები იქნება. „ოცნებაში“ დიდი გადანაწილება მოხდება.

***— საპარლამენტო უმრავლესობა თუ დაიშლება?***

— სად გვყავს უმრავლესობა. ეს უმრავლესობა არაფერზე დგას. მათი მიზანი მხოლოდ პირადი სარგებლობის მიღებაა. თუ ხალხის პროტესტი დაინახეს, დაშლას ვინ ჩივის, ქვეყნიდან გაიქცევიან. ამ ეტაპზე პირადი სარგებლობის მიღების ხათრით ახერხებენ ერთად დგომას. ოქტომბრამდე შეიძლება ესეც შეიცვალოს.

***— პრეზიდენტთან მათი გაუთავებელი კინკლაობა როდემდე უნდა გაგრძელდეს?***

— მანამდე, სანამ ის პრეზიდენტი იქნება. კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ერთი ძალიან კარგი ტერმინი — მდაბიორი. დღეს ქვეყანაში არის მდაბიორების შლიგინი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ დღეს ქვეყანას მართავს ივანიშვილი და მიკვირს, რატომ ვეძებთ მონარქს. ამ ადამიანმა ვერ შექმნა ისეთი სისტემა, რომელიც სახელმწიფობრივად მოაზროვნე, პროფესიონალ კადრებს შეარჩევს. დღეს პოლიტიკა ასე ესმით — ოღონდ იყავი მონა, ოღონდ ყველაფერზე თავი დააქნიე და რაც გინდა, ის გააკეთე.

დღეს თანამდებობებზე საგანგებოდ არჩევენ გასვრილ ადამიანებს. ვინც გასვრილი არ არის, მაქსიმალურად ცდილობენ მის გასვრას. გასვრილი ადამიანის დამონება და მართვა უფრო იოლია.

ნაციონალური მოძრაობა თავისი დანაყოფებიანად იმიტომ დასვეს პარლამენტში, რომ გასვრილი ძალაა. „ოცნება“ მათი წყალობით ინარჩუნებს ძალაუფლებას და დღე და ღამე მათზე უნდა ლოცულობდეს. ყოფილი ხელისუფლების მიმართ ხალხის ზიზღი იმდენად დიდია, რომ მზად არიან, ისევ ამ მკვდრებსა და უუნაროებს დაუჭირონ მხარი.

„ოცნების“ შემქმნელმა კარგად იცის ხალხის განწყობა და ამ ფორმულას წარმატებით ამუშავებს.

***— ეს ფორმულა მუდმივად ხომ ვერ იმუშავებს?***

— ჯერ ისევ მუშაობს. თვითმმართველობის არჩევნებზე ამ ფორმულის წყალობით კიდევ ერთხელ გაიშლიგინებენ.

***— არის ვერსიები, რომ პრეზიდენტმა შესაძლოა ან პარლამენტი დაითხოვოს, ან თავად გადადგეს. თქვენი აზრით, წავა მარგველაშვილი ამაზე?***

— მარგველაშვილი არც გადადგება და არც პარლამენტს დაითხოვს. ის დღეს მხოლოდ საკუთარ პიარზე მუშაობს. ის მომავალი პოლიტიკური აქტივობებისთვის ემზადება. მისი ყოველი ნაბიჯი მიმართულია იქითკენ რომ საერთაშორისო მეგობრობას თავი შეახსენოს. ყურადღების მიპყრობის მიზნით ის ხშირად ხვდება ოპოზიციას. განსაკუთრებით ევროპულ საქართველოს სწყალობს. არადა, ეს ის ხალხია, რომლებმაც სისხლიანი 9 წელი შექმნეს.

პარლამენტი რომც დაითხოვოს, ისეა მისი უფლებები შემცირებული, რაღაც გამოსავალს იპოვიან და ეს იქნება დღის ნიუსი. რაც შეეხება გადადგომას, მეეჭვება, რომ გადადგეს, მაგრამ, ასეთ გადაწყვეტილებას თუ მიიღებს, ეს იქნება კვირის სკანდალი. ყველაფერი ამით დასრულდება. ეს თავადაც კარგად იცის და ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

მარგველაშვილის გადაწყვეტილებაზე მეტად საქართველოში მისი უკრაინელი კოლეგის ვიზიტი მაინტერესებს. ცოტა ხნის წინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა პოროშენკომ სააკაშვილი საქართველოს გადმოსცეს.

ამის ძალიან ეშინიათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს და, როგორც გავიგე, ისინი პოროშენკოს დასახვედრად ემზადებიან. არ არის გამორიცხული, პატარა პროვოკაციაც მოუწყონ. ის პრესკონფერენციას გამართავს, სადაც მას თავიანთი კონტროლირებადი მედიის დახმარებით უხერხულ კითხვებს დაუსვამენ, მიუსევენ არასამთავრობოებს და ისეთ სურათს დაუხატავენ, რომ სააკაშვილის გადმოცემაზე უარი თქვას. კარგი იქნება, თუ „ოცნება“ ამას მომზადებული დახვდება.

### გადმოსცემს თუ არა პოროშენკო საქართველოს სააკაშვილს



## კახა კალაძე: „დიდი გეგმები გვაქვს“



— გეგმები გვაქვს ძალიან ამბიციური — ეს განცხადება ვიცეპრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ გააკეთა. იქნება თუ არა ის თბილისის მერობის კანდიდატი, კალაძე არ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გეგმების შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება.

— უახლოეს მომავალში ყველაფერი ცნობილი იქნება როგორც ჟურნალისტებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. გეგმები გვაქვს ძალიან ამბიციური, მნიშვნელოვანი, რომელიც სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, — განაცხადა კახი კალაძემ.

კახა კალაძის პოლიტიკურ გეგმებზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შუახევის ჰიდროელექტროსადგურის გახსნის დროს განაცხადა. დეტალები არც კვირიკაშვილს დაუკონკრეტებია, თუმცა კალაძეს ახალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

გავრცელებული ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნებზე დედაქალაქის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ კახა კალაძე იქნება.

**პირველი რადიო**

# გიგა ბუკია: „ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობის საქმეს აკეთებს“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აგრძელებენ საკონსტიტუციო ცვლილებების გაპროტესტებას. საკონსტიტუციო პროექტი მეორე მოსმენით დამტკიცებულია. „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას.

**გიგა ბუკია:**

– ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ თავისი აზრი გამოთქვას. სხვა პარტიები ხელისუფლებას გუნდრუკს არ უნდა უკმევდნენ, მაგრამ ოპოზიციის ბოლოდროინდელი მოქმედებები აბსურდამდე მიდის.

***– რატომ მიდის აბსურდამდე?***

– იმიტომ რომ, რაც უნდა შევთავაზოთ, ყველაფერს ეწინააღმდეგებიან.

***– ოპოზიციის პრეტენზიები საარჩევნო სისტემას უკავშირდება.***

– როცა კონსტიტუციის ცვლილებების პროექტში ჩავწერეთ, რომ გადავდივართ პროპორციულ სისტემაზე, ოპოზიციონერებს არ მოეწონათ ბონუსების სისტემა. როცა ბონუსების ზედა და ქვედა ზღვრის განსაზღვრა გადავწყვიტეთ და დათმობაზე წავედით, არც ამას დაეთანხმნენ. ალარაფერს ვამბობ პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციაზე. პრეზიდენტმა თავიდანვე ბოიკოტი გამოუცხადა საკონსტიტუციო კომისიას, შემდეგ კი პირდაპირ შეტევებზე გადმოვიდა. პრეზიდენტი ახლაც უკმაყოფილოა, არადა, პროექტში ჩავწერეთ ის, რასაც ის მოითხოვდა.

***– გულისხმობთ იმას, რომ 1018 წელს პრეზიდენტს ისევ პირდაპირი წესით ავირჩევთ?***

– ამას არ მოითხოვდა პრეზიდენტი? ამ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას, მათ შორის, გიორგი მარველაშვილსაც აქვს. ამიტომ მისი თავდასხმები გაუგებარია. არც ის არის გასაგები, რატომ გამოუცხადა ბოიკოტი პარლამენტის სხდომებს საპარლამენტო ოპოზიციამ. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ამ დეპუტატებს უნდათ, ჩვენ გარეშე სადმე ისხდნენ და ხალხი ატყუონ.

***– ოპოზიციის ერთ-ერთი პრეტენზია ისაა, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვებზე, ასევე ვენეციის კომისიის წინაშე სხვა პროექტი გაიტანეთ, კენჭისყრაზე კი სხვა დააყენეთ.***

– განსხვავება ის არის, რომ იძულებული გავხდით, სამომავლოდ გადაგვეტანა პროპორციული სისტემის შემოღება. მოგეხსენებათ, ამას ეწინააღმდეგებოდნენ მაჟორიტარები ჩვენივე უმრავლესობიდან. მათ გარეშე საკმარისი ხმები არ გვექნებოდა კონსტიტუციის შესაცვლელად. საპარლამენტო ოპოზიცია დათანხმებულიყო მაშინდელ ვარიანტს და შემოვიღებდით პროპორციულ სისტემას! ამ დეპუტატებმა არც ის მოინდომეს და ახლა იმაზე გვიტევენ, რომ მაჟორიტარებთან მივაღწიეთ შეთანხმებას და მაჟორიტარულ-პროპორციულ სისტემას ვტოვებთ.

***– ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ხალხი მოატყუეთ.***

– ხალხი არ მოგვიტყუებია. საყოველთაოსახალხო განხილვებისას ბევრ ადამიანს შევხვდით. მათი უმრავლესობა მხარს უჭერს ოჯახის დეფინიციის განსაზღვრას, ასევე ჩანაწერს მიწის შესახებ. სხვათა შორის, ბევრმა ადამიანმა გვითხრა, რომ მაჟორიტარული არჩევნების მომხრეა. სისტემა, რომელსაც ახლა ვთავაზობთ, ოპოზიციისთვისაც მისაღები უნდა იყოს.



***– 3%-იანი საარჩევნო ბარიერი გაქვთ მხედველობაში?***

– შერეული სისტემა და 3%-იანი ბარიერი არის პარლამენტში მოხვედრისა და შემდგომი განვითარების შანსი პატარა პარტიებისათვის. ასეთი პარტიები უცნაურად იქცევიან. მათი მოქმედებები არაკონსტრუქციული და არაპრაგმატულია. ისინი ნაციონალური მოძრაობის საქმეს აკეთებენ და შეეკვრნენ ნაციონალებს, რომლებთანაც ადრე დანასისხლად იყვნენ გადაკიდებული. ოპოზიციისთვის მისაღები უნდა იყოს ბარიერის 3%-მდე დაწევა და მაჟორიტარების გაყვანის შესაძლებლობა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის გარშემო დარაზმული პოლიტიკური ძალები საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე არ ფიქრობენ. ეტყობა, ფეხის ხმას აყოლილი პატარა პარტიების მიზანი ის არის, რომ ნაციონალური მოძრაობა უფრო მეტი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი მომავალ პარლამენტში. პროპორციული არჩევნებისა და 5%-იანი ზღურბლის შემთხვევაში ამ პარტიების შანსები გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ვთავაზობთ მათთვის უკეთეს პირობებს. პატარა ოპოზიციურ პარტიებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიყვანონ რამდენიმე წარმომადგენელი პარლამენტში და გამოიყენონ ტრიბუნა. ეს მათთვის სასიცოცხლოა, არადა, ნაციონალური მოძრაობისა და თითოოროლა გამონაკლისის გარდა, ყველას რეიტინგი ძალიან დაბალია. როცა ოპოზიციაში ვიყავით, ბარიერის 4%-მდე დაწევაც სანატრელი გვქონდა და ნაცმოძრაობა ამას არ თანხმდებოდა.

***– გახშირდა პროგნოზები, რომ შემოდგომაზე ქვეყანაში მღელვარება და არეულობა დაიწყება.***

– არ ვიცი, რისთვის ემზადება ოპოზიცია და ვის სჭირდება საქართველოში სიტუაციის ამღვრევა. ერთი რამ ცხადია – ოპოზიციის ნაწილი ავრცელებს ცრუ ინფორმაციებს და მისი შეხედულებები ხალხის განწყობას არ ემთხვევა. ხალხმა 2016 წელსაც ჩვენ დაგვიჭირა მხარი. ამის შედეგად მივიღეთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. კონსტიტუციაში შეგვაქვს ცვლილებები, რომლებიც საჭიროა ქვეყნისათვის. ხალხში საპროტესტო, მით უმეტეს, რევოლუციური განწყობა არ იგრძნობა.

# სოხუმი და ცხინვალი დევნილების დაბრუნებას ისევ არ თანხმდებიან

გულიკო ბალაძე



## ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზებსა და ოსებს ქართული პასპორტები და ევროპაში უვიზოდ სიარული შევთავაზეთ“

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია „ახალ თაობასთან“ ჟენევის მე-40 რაუნდის მოლაპარაკებებს აფასებს.

***– თქვენი შეფასებით, როგორ წარიმართა ჟენევის მოლაპარაკებების მე-40 რაუნდი?***

– ჩვენთვის შედეგია, აფხაზები, რუსები და ჩვენ თუ მოვილაპარაკებთ, რომ აფხაზეთში, ჩვენს სახლებში ვბრუნდებით. რა თქმა უნდა, ასეთი რამ არ მომხდარა.

***– არც მოხდებოდა. საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ დევნილების საკითხზე მოლაპარაკებების დაწყებისთანავე რუსებმა, აფხაზებმა და ოსებმა დარბაზი დატოვეს. მათი ასეთი დემონსტრაციული ქმედებები რას ნიშნავს?***

– მხოლოდ ამ შეხვედრაზე არ დაუტოვებიათ დარბაზი. ყველა შეხვედრაზე, დევნილების დაბრუნების საკითხის განხილვის დაწყებამდე, დემონსტრაციულად ტოვებენ დარბაზს. მათი ძირითადი მოტივია, რატომ ვიხილავთ გაეროში დევნილების დაბრუნების საკითხს, როდესაც ამ საკითხის მოგვარება ჟენევის ფორმატითაა განსაზღვრული. რადგან თქვენ არ ტოვებთ არცერთ ფორმატს, ეს საკითხი რომ არ განიხილოთ და არაკონსტრუქციულობაში არ დაგვადანაშაულოთ, ამიტომ დევნილების დაბრუნების საკითხს პროტესტის ნიშნად არ განვიხილავთო. ევროპელებმა და ამერიკელებმა უპასუხეს, თუ რატომ ხდება საერთაშორისო ფორმატში ამ საკითხის განხილვა.

განსხვავებით წინა შეხვედრებისაგან, ამ საკითხზე დავაში 40 წუთი გავიდა. მათ თავიანთი არგუმენტები დაასახელეს, ჩვენ – ჩვენი. საბოლოო ჯამში, წინასწარი მოთელვა ისე დამთავრდა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაასკვნეს, რომ არასწორად იქცევიან სოხუმის, ცხინვალისა და რუსეთის წარმომადგენლები, რომლებიც აფხაზებსა და ოსებს მხარს უჭერენ, თითქოს ისინი მართლები არიან, ჩვენ კი – არასწორი.

ჟენევის მოლაპარაკებებზე განვიხილეთ სხვადასხვა საკითხი, რომლებიც ყოველთვის განიხილება. ამ შემთხვევაში განვიხილეთ, რა შედეგები მოიტანა გადასასვლელების ჩაკეტვამ – სიკვდილიანობა, ხალხის უკანონოდ დაკავება, დაჯარიმებები, ხალხის ფსიქოლოგიური ტრავმირება, დისკომფორტი, ადამიანებს რიგებში უწევთ დგომა. ასევე განათლების სისტემაში გაუგონარი პრობლემებია.

ძალიან ბევრი ვისაუბრეთ ბინადრობის პრობლემაზე. ამაზეც განაცხადეს, რომ საერთაშორისო სამართლით, ყველგან არის დაშვებული ბინადრობის სტატუსის მინიჭება, რასაც მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ძალიან მკვეთრი განცხადება, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს მაგალითი იმისა, ამგვარ შემთხვევაში მობინადრის სტატუსი მიენიჭებინოთ. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ამერიკის წარმომადგენლებმა პირდაპირ უთხრეს, რომ გალელები იმ კატეგორიის მცხოვრებლები არ არიან, რომლებსაც ბინადრობის სტატუსი ეკუთვნით.

ეს არის უსამართლობა, უკანონობა და საერთაშორისო სამართლის არცერთ ნორმაში არ ჯდება. ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები იმ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, რომ მობინადრის სტატუსი მიენიჭოთ. საერთაშორისო პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, როცა კონკრეტულ ტერიტორიაზე ათასწლობით მცხოვრები მოსახლეობისთვის მობინადრის სტატუსი მიენიჭებინოთ. ადამიანი ათასობით წელი იქ ცხოვრობდა, შენ კი ახლა საიდანღაც ჩამოფრენილად წარმოადგენ. ამიტომ ევროპა თქვენგან უფრო გონივრულ გადაწყვეტილებას ელოდებაო.

ასევე განვიხილეთ აფხაზეთში კულტურული ძეგლების მდგომარეობა. აფხაზების მხრიდან გამოჩნდა ახალი წარმომადგენელი, რომელმაც ემოციურად ილაპარაკა ამ თემაზე. აფხაზეთში არსებული მემკვიდრეობა ერთი კაცის კუთვნილება არ არის. ქართულ მემკვიდრეობას სჭირდება შენახვა. საერთაშორისო თანამეგობრობის თანამონაწილეობით უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს.

***– იყო ისეთი საკითხი, რომელზეც აფხაზებმა და რუსებმა დადებითად უპასუხეს?***

– დადებითად – არა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, საჭიროა მეტი მუშაობა, მეტი რუდუნება და მეტი სიფაქიზე. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ აფხაზები რეალურად აფასებენ იქ არსებულ სიტუაციას.

მოლაპარაკებებზე იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძემ გოჩა ოთხოზორიას მკვლელის სასჯელისაგან გათავისუფლება შეაფასა. მისი განცხადებით, ოთხოზორიას მკვლელის სასჯელისაგან გათავისუფლება მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთში არის დაუსჯელობის სინდრომი. თუ არ დასჯით ოთხოზორიას მკვლელს, დაუსჯელობის სინდრომი უფრო სიღრმეში წავა და ამას აფხაზები უფრო მწვავედ იგრძნობენო.

***– თუ აფხაზებს, ოსებსა და რუსებს არ უნდათ, დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების საკითხი გაეროში განიხილებოდეს, ნაწილი მაინც დააბრუნონ! მართლაც ათასობით წელია, რაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველები ცხოვრობენ, მათ კი გამოდევნეს და საკუთარ სახლებში აღარ უშვებენ.***

– არის სიტუაციები, რომლებზეც უფრო მეტი მუშაობაა საჭირო.

***– რაღაც 9 ნომერი დოკუმენტი რომ აქვთ, რას ნიშნავს?***

– ეს არის პასპორტის შემცვლელი დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილების საშუალებას აძლევს.

***– აფხაზეთიდან საავადმყოფოებში ვინც მოდის, მათ მიმართ როგორ არიან განწყობილი?***

– აღნიშნავენ, რომ საავადმყოფოებში რეფერალური პროგრამა მუშაობს, თუმცა, იმასაც ჩივიან, საზღვარგარეთ წასვლის საშუალება წაგვართვითო.

***– ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია გვაქვს და იარონ, რამდენიც უნდათ.***

– ჩვენც ასე ვუთხარით, ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია გვაქვს, შემოდით, გადით და იარეთ მთელ მსოფლიოშიო.

***– არ თანხმდებიან?***

– რა თქმა უნდა, არ გვთანხმდებიან ასე აშკარად.

***– საგარეო უწყების განცხადებაში წერია, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა მწვავედ დააყენეს საკითხი რუსეთის ანექსიის პოლიტიკის თაობაზე, სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებზე.***

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსები განაგებენ სიტუაციას. ჩვენს ამ განცხადებას აფხაზები შეურაცხყოფად მიიჩნევენ.

***– აფხაზები ამბობენ, ასე არ არისო?***

– არა, ჩვენ თვითონ ვიღებთ გადაწყვეტილებებსო.

***– უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა საქართველომ მოითხოვა?***

– ჟენევის ფორმატის არსებობის განმავლობაში ეს საკითხი ყოველთვის დგება. ის მიდგომები, რომლებსაც რუსეთი გვთავაზობს, ჩვენთვის მიუღებელია. რასაც ჩვენ ვთავაზობთ, ისინი არ გვთანხმდებიან. ამიტომ ეს საკითხი ჩიხშია შესული.

***– თანათავმჯდომარეები თუ გიჭერენ მხარს?***

– ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ მთავარი მოქმედი პირები და, თუ საქართველოს არ უნდა, ისეთი გადაწყვეტილება არ მიიღება. საერთაშორისო საზოგადოება მედიატორია და ისეთი დოკუმენტის მიღებას უნდა შეუწყოს ხელი, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნება.

***– მესმის, მაგრამ, როდესაც თქვენ აყენებთ საკითხს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის თაობაზე და იქ სხედან გაეროს, ეუთოს, ევროკავშირისა და ამერიკის წარმომადგენლები (რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებაში ყველაზე გავლენიანი ჯგუფები არიან და ძალიან დიდი ძალაა), მხარს გიჭერენ?***

– ეს საკითხი დღის წესრიგში დგას. ყველა შეხვედრაზე ხდება მოსმენა, თუ რა მდგომარეობაა. თანათავმჯდომარეები გამოკვეთილად რომელიმე მხარეს რომ დაუდგნენ გვერდით, ასე არ არის. საერთაშორისო სამართლის მოთხოვნაა, ისეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება.

***– თანათავმჯდომარეები მხარს თუ გიჭერენ-მეთქი?***

– დიახ, გვიჭერენ.

***– მათი მხარდაჭერა იმიტომ მაინტერესებს, ცოტა ხნის წინ ჩვენ მოწმე გავხდით ფაქტისა, როგორ ჩაბრძანდა ევროკავშირის წარმომადგენელი, ჟენევის მოლაპარაკებებში თანათავმჯდომარე ზალბერი ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და როგორ ულოცავდა უკანონო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას.***

– ზალბერი გადადგა.

***– როდის გადადგა? მოლაპარაკებებს არ ესწრებოდა?***

– ევროკავშირის წარმომადგენლებმა შეაფასეს. ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეაფასა.

***– ამერიკელი ექსპერტმა შეაფასა ზალბერის ქმედებები და განაცხადა, რომ ზალბერს, თავისი ქმედებებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა თანამდებობა. ჟენევის შეხვედრების შემდეგ გადადგა?***

– ზალბერი ესწრებოდა შეხვედრებს. ბოლოს გამოაცხადეს, რომ ზალბერი სხვა თანამდებობაზე გადადიოდა. თუ არ გადამდგარა, ის აუცილებლად გადადგება.

***– ქართულ მხარეს არ დაუყენებია საკითხი ზალბერის გადადგომის თაობაზე?***

– საკითხი დამდგარიც იყო და გადაწყვეტილიც.

***– დარწმუნებული ვარ, ზალბერი მხარს არაფერში დაგიჭერდათ.***

– ასე არ იყო. ნეიტრალური არბიტრის როლში წარმოგვიდგა.

***– ჟენევის მოლაპარაკებების მე-40 რაუნდი იყო. ყველაფერს არ მეუბნებით, მაგრამ, ის მაინც გვითხარით, შედეგი რა მიიღეთ?***

– შედეგი ის არის, რომ ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას საერთაშორისო საზოგადოების მეტი მონაწილეობით, ვეძებთ გზებს აფხაზებთან და ყველა იმ აქტორთან, რომლებიც ამ კონფლიქტის მოგვარებაში დაგვეხმარებიან.

# 7 ქვეყანა, სადაც სახლის ყიდვა 1 ევროდ შეგიძლიათ

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უძრავი ქონება ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია.

თუმცა, არის ქვეყნები, სადაც სახლის ყიდვა 1 ევროდ შეგიძლიათ, თუ გარკვეულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ.

**რუბე (საფრანგეთი)**

ბელგიის საზღვართან მდებარე, საფრანგეთის პატარა ქალაქ რუბეში სახლები სიმბოლურ ფასად – 1 ევროდ იყიდება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ შეთავაზებით ქალაქში ახალი სიცოცხლის გაჩენა გადაწყვიტა. თუმცა, მყიდველმა ერთი პირობა აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს – სახლი საკუთარი ხარჯებით გაარემონტოს და 5 წლის განმავლობაში არ გაყიდოს.

**კობრიჯი (ინგლისი)**

საფრანგეთის მსგავსად, აქაც იგივე მიზანია – ქალაქის გამოცოცხლება და მიტოვებული სახლების ათვისება. ქალაქში 1 ევროდ რამდენიმე ათეული სახლი იყიდება.

თუმცა, 1 ევრო მხოლოდ საწყისი ინვესტიციაა სახლის ახალი მფლობელებისთვის. დამატებით მათ მოეთხოვებათ, წარადგინონ დამატებითი საბუთები, რომ სახლის აღდგენის თანხები გააჩნიათ ან უნდა ჰქონდეთ ბანკიდან ცნობა, რომ ბანკი თანახმაა გასცეს მასზე 30 ათასი ფუნტის ოდენობის კრედიტი. გარდა ამისა, ახალ მყიდველს სახლის გაყიდვის უფლება 5 წლის განმავლობაში არ აქვს.

**ლივერპული (ინგლისი)**



ინგლისის ამ ცნობილ ქალაქში სახლები 1 ევროდ ენფილდის რაიონში იყიდება. შეთავაზების მიზანი – მოძველებული სახლების გალამაზება და გარემონტებაა. შეთავაზება მოქმედებს მხოლოდ ლივერპულში მცხოვრები ან მომუშავე მოქალაქეებისთვის.

**კარეგა-ლიგურე (იტალია)**

ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სახლების 1 ევროდ გაყიდვის მთავარი მიზანი იტალიაში მდებარე ამ პატარა ქალაქში დეპოპულაციის შეჩერებაა. ქალაქში მხოლოდ 98 ადამიანი ცხოვრობს. ამ მაჩვენებლით კარეგა-ლიგურაში ყველა ნაკლები მოსახლეა.

მყიდველებმა უნდა დააკმაყოფილონ რამდენიმე პირობა – სახლი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა მასალებით გაარემონტონ. ახალმა მფლობელებმა სახლს ასევე უნდა შეუნარჩუნონ ავთენტურობა და არ დაამახინჯონ მისი გარე ფასადი.

**ოკაიდო (იაპონია)**

კარეგა-ლიგურეს მსგავსად, აქაც სახლების 1 ევროდ გაყიდვის მთავარი მიზანი ხალხის გადინების შეჩერებაა. სახლის მყიდველმა მხოლოდ ერთი პირობა უნდა დააკმაყოფილოს – სახლში ოფიციალურად უნდა ცხოვრობდეს.

**ლეჩე ნეი მარსი (იტალია)**

ქალაქში ლეჩე ნეი მარსში, იტალიის შუაგულში, აბრუცოს რეგიონში მდებარეობს. სახლების 1 ევროდ გაყიდვა პროგრამის სახით ხორციელდება. სახლები კერძო მფლობელებს ეკუთვნით, რომლებსაც უბრალოდ მათი „თავიდან მოშორება“ უნდათ.

ახალი მყიდველი ვალდებულია დოკუმენტებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თვითონ გაიღოს. გარდა ამისა, მან უნდა წარმოადგინოს სახლის რეკონსტრუქციის პროექტი და ვალდებულია, რეკონსტრუქცია ყიდვიდან ორი თვის განმავლობაში დაიწყოს.

**რეპოტენშტეინი (ავსტრია)**

სოფელი რეპოტენშტეინი ჩრდილოეთ ავსტრიაში მდებარეობს. 2009 წელს ადგილობრივი მოსახლეობის მკვეთრი შემცირების შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა მიწები შეეთავაზებინა ყველასთვის, ვინც თანახმა იქნებოდა, 10 წლის განმავლობაში მეურნეობა წამოეწყო.

გარდა ამისა, ახალი მყიდველი ვალდებულია, სამი წლის განმავლობაში ააშენოს სახლში. თუ მყიდველი არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს, 12.000 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს.

**ბიპიენი**

# „ე.წ. ესტონური მოდელის „სიკეთეები“ ერთ-ორ წელიწადში გამოჩნდება“

„ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასვლა კარგი გადაწყვეტილება იყო, – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას „ვისოლი ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება ქვეყანას რა „სიკეთეებს“ მოუტანს, ერთი ან ორი წლის შემდეგ გამოჩნდება.

როგორც ცნობილია, 2017 წლის 1-ლი იანვრიდან საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები ამოქმედდა. მოგების გადასახადთან დაკავშირებით ძალაში შევიდა დაბეგვრის „ესტონური მოდელი“. ამ მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადით იბეგრება არა მოგების მიღება, არამედ მოგების დივიდენდად განაწილება. მარტივად რომ ვთქვათ, ახალი



მოდელი ახალისებს კომპანიებს, მოახდინონ მიღებული მოგების რეინვესტირება მათივე საქმიანობაში.

„ესტონური მოდელის“ ამოქმედებიდან თითქმის 6 თვის თავზე მის შედეგებზე საუბარს ნაადრევს უწოდებს ბიზნესმენი სოსო ფხაკაძე.

– თავიდან ე.წ. ესტონური მოდელის ირგვლივ გარკვეული შეფერხებები იყო. ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა. შემოსავლების სამსახურმა ძალიან კარგად იმუშავა რეგულაციების, სტანდარტების, ბიზნესმენებისა და შესაბამისი პერსონალის საქმის კურსში ჩაყენებასთან და გათვითცნობიერებასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ე.წ. ესტონურმა მოდელმა ქვეყნის ეკონომიკას რა სიკეთე მოუტანა, ერთი ან ორი წლის შემდეგ გამოჩნდება. ვფიქრობ, „ესტონური მოდელის“ შემოღება კარგი ნაბიჯი იყო, – აღნიშნა სოსო ფხაკაძემ.

# ვის არ ექნება ვალდებულება, ფასდადება მხოლოდ ლარში მოახდინოს

1 ივლისიდან სავალდებულო ხდება ქონების რეალიზაციის ფასის მხოლოდ ლარში გამოხატვა. თუმცა, არიან გამონაკლისი მეწარმეები, რომლებზეც ეს წესი არ ვრცელდება. ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის 22 ივნისის ბრძანებაშია ნათქვამი.

კერძოდ, ბრძანების მიხედვით, ფასის მხოლოდ ლარით გამოხატვასთან დაკავშირებული მოთხოვნა არ ვრცელდება მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებასა ან/და რეკლამირებაზე, თუ აღნიშნული დაკავშირებულია:

1. ავიაბილეთების რეალიზაციასთან, სასტუმროს და ტურისტულ მომსახურებასთან, თუ აღნიშნული ხორციელდება უცხოურ ენაზე, ასევე აზარტულ თამაშობებთან;

2. ტვირთების საერთაშორისო, მათ შორის, საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო გადაზიდვებთან, ასევე, ყველა სახის სარკინიგზო გადაზიდვებთან. ეს პუნქტი ასევე ვრცელდება აღნიშნული სახის გადაზიდვებთან დაკავშირებულ მომსახურებებზე;

3. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებსა და აეროპორტის გაფრენის ზონებში ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევასთან;

4. როუმინგის მომსახურებასთან;

5. უცხოეთში გადაზღვევის მომსახურებასთან;

6. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებულ მომსახურებასთან;

7. ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და წყალმომარაგების იმპორტთან, ექსპორტთან/რეექსპორტთან და/ან ტრანზიტთან;

8. არარეზიდენტის მიერ (მათ შორის, მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით) ან არარეზიდენტისათვის მომსახურების გაწევასთან ან/და სამუშაოს შესრულებასთან ან/და საქონლის მიწოდებასთან;

9. ენერგეტიკის დარგში საერთაშორისო და/ან უცხო ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტების და/ან ინვესტორის დაფინანსებით (მათ შორის ნაწილობრივი დაფინანსებით) განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების გაწევასთან და/ან სამუშაოების (მათ შორის, სამშენებლო სამუშაოების) შესრულებასთან;

10. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ენერგეტიკის დარგში განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში საქონლის რეალიზაციასთან და/ან მომსახურების გაწევასთან;

11. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების/შეთანხმებებისა და მემორანდუმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებასთან, ასევე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებთან.

12. უცხოური საგადახდო სისტემის გამოყენებით უცხოური ვალუტით განხორციელებულ მომსახურებასთან.

13. მიმოქცევად ფასიან ქაღალდთან, რომელიც ადასტურებს წილობრივ მონაწილეობას უცხოურ კომპანიაში, ან მისი ეკვივალენტთან; მიმოქცევად სასესხო ინსტრუმენტთან/ვალდებულებასთან; სხვა მიმოქცევად ფასიან ქაღალდთან, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების შეძენის უფლებას მასზე ხელმოწერის, მისი ყიდვის ან მისი გაცვლის გზით, ან რომლის შესრულება ხდება შეთანხმებულ და მიმდინარე ფასთა შორის სხვაობის დაფარვით, ან რომელიც ითვალისწინებს ფულად ანგარიშსწორებას, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებულ უფლებასთან; ფულის ან სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტებთან; ანგარიშზე რიცხულ ძვირფას ლითონებთან; ასევე ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან, უფლებებთან ამ ინსტრუმენტებზე ან მათთან დაკავშირებულ უფლებებთან. ამასთან, ბრძანების თანახმად, ეს პუნქტი მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ინსტრუმენტებზე ვრცელდება.

**ბიპიენი**

# 24 კილომეტრი ფეხით განათლების მისაღებად



– შეიძლება ზვავი ჩამოვიდეს, წყალი ადიდდეს, ნადირიც იყოს, მაგრამ ყურადღებით დავდივართ, – 14 წლის აბულეთ დაიაური მუცოდან შატილის სკოლამდე 12 კილომეტრს ფეხით გადის. მომავალი სასწავლო წლიდან აბოსთან ერთად სკოლაში მისმა დამ, 6 წლის ქეთომაც უნდა იაროს. სახელმწიფომ მათთვის სასკოლო ავტობუსის დანიშვნა დღემდე ვერ მოახერხა.

პირიქითა ხევსურეთის ერთადერთ სკოლაში აბოს ორი მუცოელი ბიძაშვილიც სწავლობს. ბიჭები სახლიდან კვირას მიდიან, პარასკევამდე პანსიონში რჩებიან და გაკვეთილების შემდეგ შინ ისევ ფეხით ბრუნდებიან.

– ალბათ სამნი რომ ვართ, ნადირიც აღარ გამოდის, ეშინია, თორემ ნადირიც არის ტყეში. ორშაბათს დილას რომ ჩავიდე, ვერც გაკვეთილებს მივუსწრებ და ვერც მეცადინეობას შევძლებ. თან წიგნებიანი მძიმე ჩანთის ტარებაც რთულია ამ გზაზე. მეც ვილლები და პირველკლასელი გოგო როგორ ივლის? ქეთო ვერ გაუძლებს ასე სიარულს, პატარაა, – ამბობს აბო.

მუცოდან შატილამდე და პირიქით 24 კილომეტრია. გზა მდინარე არღუნის ხეობაში გადის და ხშირი წყალმოვარდნის დროს განსაკუთრებით საშიში ხდება.

გადაადგილება ზაფხულის პერიოდშიც ჭირს, მაგრამ ხანდახან მაინც გამოჩნდება ხოლმე მანქანა, ზამთარში კი მიღმახევში სულ რამდენიმე ადამიანი რჩება და პერიოდულად გზაც იკეტება. აქაურებს ყველაზე ხშირად სწორედ თავისუფალი მანქანის გამოჩენა ახარებთ.

აბულეთი კლასში მარტოა და მასწავლებლები გაკვეთილზე მხოლოდ მისთვის შედიან. წელს შატილის სკოლაში შვიდი ბავშვი სწავლობდა. ახლა ხუთნი დარჩნენ. ყველაზე ხალმრავალი, ორბავშვიანი კლასის მოსწავლეებმა სკოლა დაამთავრეს. მეოთხე, მეექვსე და მეათე კლასებშიც, აბოს მსგავსად, თითო მოსწავლე იყო.

განათლების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოში 2013 წლიდან მოქმედებს „სკოლების ხელმისაწვდომობის“ პროგრამა. სამინისტროს განმარტებით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემებმა (მაღალმთიანი რეგიონები, ტყიანი ადგილები სოფლებს შორის, სადაც გარეული ცხოველების საშიშროებაა, მდინარეებზე გადასასვლელები და ა.შ.) წარმოშვა მათი საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე ტრანსპორტით გადაყვანის საჭიროება.

პროგრამის განხორციელებისთვის სკოლამ ტრანსპორტით უზრუნველყოფის საჭიროებისა და ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია საგანმანათლებლო რესურსცენტრს უნდა მიაწოდოს. საბოლოოდ, სამინისტრო ტენდერის გზით ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვას ახდენს.

იმის მიუხედავად, რომ შატილის სკოლა მუცოდან 12 კილომეტრით არის დაშორებული და გზაც სახიფათოა, მუცოელი ბავშვები ამ სერვისით ვერ სარგებლობენ.

შატილის სკოლის დირექტორი მაყვალა დაიაური, რომელიც თავადაც მუცოელია, ამბობს, რომ არასოდეს დაუსვამს საკითხი, მიღმახეველ ბავშვებს მანქანა მომსახურებოდა.

***– ზამთარი თუ მკაცრია და გზა იკეტება, შემოდგომა-გაზაფხულზე ხომ მაინც არის ამ გზაზე ბავშვების მანქანით ტარება შესაძლებელი?***

– კი, მაგ დროს კი.

***– ორი წელია გზა ზამთარშიც არ ჩაკეტილა მუცოს ხეობაში.***

– კი, ვიცი.

დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის დავით ოსეფაშვილის თქმით, მშობლებს ტრანსპორტი ს დანიშვნის მოთხოვნით არ მიუმართავთ.

***– მშობლებს შესაძლოა წერილობით არ მოუმართავთ, მაგრამ გვითხრეს, რომ ეს საკითხი არაერთხელ დასვეს როგორც სკოლის დირექტორთან, ასევე სოფლის გამგებელთან და გამგეობის წარმომადგენლებთან. მომართვის გარეშე არ იცოდით, ბავშვები 24 კილომეტრს ფეხით რომ გადიან?***

– ვიცოდი, მაგრამ მე ხომ არ ვეტყოდი, რომ ტრანსპორტი მოეთხოვათ.

***– რატომ, დავუშვათ და თვითონ არ მოითხოვეს, ან ინფორმაცია არ ჰქონდათ, იქ არც ტელეფონია, არც ინტერნეტი, რადიოც კი არ იჭერს, თქვენ რამე გიკრძალავდათ ამ შეთავაზებას?***

– ეს არ არის ჩემი ვალდებულება.

...განათლების სამინისტროს მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს წარმომადგენლის გია მამუკელაშვილის განცხადებით, შატილის სკოლას ტრანსპორტი 2016 წლის პირველი სემესტრიდან უნდა მომსახურებოდა. „კონტრაქტორმა კომპანიამ ვერავინ ვერ დაიქირავა შატილში. იქ არც გადარიცხვაა, არც საწვავის ყიდვა შეიძლება. დათვიჯვრის უღელტეხილი რომ იკეტება 6 თვით, ვერც ხელფასს გადაუხდი იმ ადამიანს, წინასწარ ვერც საწვავს მისცემ, მოკლედ, ვერ მოხერხდა განხორციელება.

***– უღელტეხილი რომ იკეტება, მასწავლებლები ხომ იღებენ ხელფასს? დაქირავებული მძღოლიც ასე აიღებდა, რატომ შეიქმნა პრობლემა? საწვავის მიწოდებაც შეიძლებოდა წინასწარ. კონტრაქტორი კომპანია თუ ვერ ასრულებს ამ მოთხოვნებს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბავშვებმა 24 კილომეტრი ფეხით უნდა იარონ, როცა ამისთვის ბიუჯეტიდან თანხაა გამოყოფილი.***

– ჩვენ კონტრაქტორ კომპანიას ყველა შეუსრულებელი ვალდებულებისთვის ვაჯარიმებთ. დაგვეხმარეთ, ვინმე დაგვაკავშირეთ და სექტემბრიდან ავამოქმედებთ ამ პროგრამას შატილშიც“.

სკოლასთან დამაკავშირებელი გზა მდინარე არღუნის ხეობაში გადის. არღუნმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

**მთის ამბები**

# თუშეთში ხიდი დაზიანდა

თუშეთში დიკლოს, შენაქოსა და ზემო ბარის სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდი დაზიანდა.

ხიდის დაზიანების მიზეზი უხვი ნალექი და ადიდებული მდინარე გახდა.

თუშეთის გამგებლის წარმომადგენლის ლადო კახოძის განცხადებით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მომხდარის შესახებ ინფორმირებულია და ხიდის აღდგენითი სამუშაოები მომავალი კვირიდან დაიწყება.

– თუშეთში სოფლების დიკლოსა და შენაქოს ადმინისტრაციულ ცენტრთან, ომალოსთან, ასევე ბართან დამაკავშირებელ ერთადერთ გზაზე არსებული სამანქანე ხიდი ინტენსიური წვიმებისა და ადიდებული მდინარის



გამო დაზიანებულია. აღნიშნული პრობლემის შესახებ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა საქმის კურსშია და უკვე მომავალი კვირიდან შესაბამისი სამსახურები დაიწყებენ აღდგენითი სამუშაოების წარმოებას, – აღნიშნა კახოძემ.

**მედიანიუსი**

# გიორგი მიქაუტაძე: „მურუსიძის კლანის წევრი არ ვარ“

– იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ცვლილებები აუცილებლად იქნება.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეულმა მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მიქაუტაძე მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ მდივნის პოსტზე ის ლევან მურუსიძის კლანის წევრობის გამო აირჩიეს, რაზეც მიქაუტაძემ განაცხადა, რომ მოსამართლეთა კონფერენციამ ხმათა უდიდესი უმრავლესობით, 246 ხმით აირჩია და მსგავსი კრიტიკა მისთვის მიუღებელია.

რაც შეეხება პრობლემურ საკითხებს, გიორგი მიქაუტაძის განცხადებით, სასამართლო გადატვირთულია საქმეებისგან და ის პირველ რიგში, სწორედ სასამართლოს განტვირთვას შეეცდება.

– პრობლემური საკითხები, რა თქმა უნდა, არსებობს, სასამართლო გადატვირთულია და პირველი გამოწვევა ალბათ არის ის, რომ ჩვენს მოქალაქეებს დროულად მივაწოდოთ ეს სერვისი. სასამართლოს გადაწყვეტილებას ყველა ელოდება და ამ მიმართულებით ყველაზე აქტიურად ვიმუშავებთ. პრიორიტეტული იქნება ის, რომ სასამართლო განიტვირთოს ჯერ საქმეებისგან და შემდგომ უკვე მივხედავთ სხვა საკითხებსაც, – განაცხადა გიორგი მიქაუტაძემ.



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად გიორგი მიქაუტაძე 24 ივნისს აირჩიეს. ფარულ კენჭისყრაზე მას მხარი დაუჭირა საბჭოს 246 წევრმა, მეორე კანდიდატ რევაზ ნადარაიას კი 25 ხმა ჰქონდა. გიორგი მიქაუტაძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოსტი ოთხი წლის ვადით ჩაიბარა. მან ლევან მურუსიძე შეცვალა.

გიორგი მიქაუტაძე ამ დრომდე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე მუშაობდა. როგორც მან კენჭისყრის დაწყებამდე განაცხადა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად არჩევის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარეობის თანამდებობას დატოვებს.

24 ივნისს მოსამართლეთა 21-ე რიგგარეშე კონფერენცია ჩატარდა, სადაც, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 მოსამართლე წევრი – ირაკლი ბონდარენკო, ვასილ მშვენიერაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი და ირაკლი შენგელია აირჩიეს.

ოთხივე წევრს ხმათა უმრავლესობით დაუჭირეს მხარი.

# გურამიშვილის გამზირზე 4 ახალგაზრდა დაჭრეს



გუშინ, 25 ივნისს, გურამიშვილის გამზირის მიმდებარედ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან, რამდენიმე ახალგაზრდა დაჭრეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, ახალგაზრდები აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტიდან გამოვიდნენ, სადაც ტურნირი მიმდინარეობდა, როდესაც მათ თავს დაესხნენ და ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენეს.

დაჭრილია 4 ადამიანი. მათ 2 თავდამსხმელი დაესხა თავს და ცივი იარაღით დაჭრა. დაჭრილთაგან 2 სპორტსმენია, 2 კი გულშემატკივარი. მათგან ერთი მძიმე მდგომარეობაშია, 2 – მსუბუქად, კიდევ ერთს სხეულზე მხოლოდ ნაკაწრები აღენიშნება.

დაპირისპირების დროს დაცვის თანამშრომელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა.

დაპირისპირება თავდამსხმელებსა და დაჭრილებს შორის, სავარაუდოდ, გუშინწინ დაიწყო.

დაშავებულები მე-5 და მე-8 საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი.

# ვაჟა-ფშაველას გამზირზე 27 წლის გიორგი ფიცხელიანი მოკლეს



24 ივნისს ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში ცეცხლსასროლი იარაღით 27 წლის გიორგი ფიცხელიანი მოკლეს.

შემთხვევა გვიან საღამოს მოხდა. თვითმხილველთა ინფორმაციით, სროლას წინ ჩხუბი უძღოდა. დაშავებული ახალგაზრდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივები უყვებიან, ახალგაზრდა საცხოვრებელ კორპუსებთან მდებარე სტადიონისკენ გამოიქცა, სადაც ის ჩაცხრილეს.

– ჩხუბის ხმაც ისმოდა, შემდეგ უკვე რამდენიმე გასროლა მოხდა. როგორც ჩანს, გამოეკიდნენ და აქ სათამაშო მოედანზე ესროლეს. აქ ეგდო, რომ გამოვედით, სისხლიანი. ამ ეზოში სულ ბავშვები არიან გვიანობამდე და თავისუფლად შეიძლება ბავშვებს რამე დამართოდათ, – აცხადებენ მეზობლები.

გიორგი ფიცხელიანს 7 ტყვია აქვს მოხვედრილი.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, გიორგი ფიცხელიანი 2009 წელს ქუთაისში მომხდარ ინციდენტში ფიგურირებდა. ფიცხელიანმა მასთან მყოფ პირთან ერთად ორი ადამიანი იარაღით დაჭრა, რის გამოც მან სასჯელიც მოიხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გიორგი ფიცხელიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე (იარაღის უკანონო ტარება შეძენა-შენახვა) და 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლებით.

# თელეთის გზაზე ავარიის შედეგად ავტობუსი ამობრუნდა. არიან დაშავებულები

მარნეულის ავტომაგისტრალის თელეთის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ავტობუსი მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა და შემდეგ ამოტრიალდა.

მგზავრების ამოყვანა ავტობუსის სავენტილაციო ლუქებიდან მოხდა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადები. არიან დაშავებულები.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, სომხური სანომრე ნიშნებიანი ავტობუსი მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა და შემდეგ ამოტრიალდა. არიან დაშავებულები. სამი ადამიანი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა.

# როსტომაშვილის საქმე — პროკურატურამ ბრალდებულის გაქცევის ფაქტზე 3 პოლიციელს ბრალი წაუყენა



საქართველოს პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამ თანამშრომელს ზ. გ.-ს, ა. ტ.-ს და ი. ქ.-ს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის I ნაწილით.

ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 14 ივნისს, საქართველოს შს სამინისტროს შესაბამისი რაიონის თანამშრომლებმა დ.რ.-ზე ყაჩაღობის მიზნით განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე ბრალდებულის სახით დააკავეს ბ. კ., რომლის დროებითი მოთავსების იზოლატორში ბადრაგირება დაევალათ ამავე განყოფილების თანამშრომლებს – ზ. გ.-ს, ი. ქ.-სა და ა. ტ.-ს.

შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ყოფნისას, სადაც ასევე მდებარეობს დროებითი მოთავსების იზოლატორი, დასახელებული თანამშრომლები დაუდევრად მოეკიდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, რითაც ისარგებლა დაკავებულმა და ტერიტორიიდან მიიმალა.



2017 წლის 23 ივნისს, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო და გადაყენებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან.

– საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით ითვალისწინებს. – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

# კარდენახში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი მოიპარეს



გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში თიბისი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატი მოიპარეს.

აპარატი ერთ-ერთ სუპერმარკეტთან იყო მოთავსებული. მაღაზიის მეპატრონისათვის უცნობია, რა რაოდენობის თანხაა წაღებული. მისივე თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მძარცველებმა ფული მოიპარეს.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მომხდარ ფაქტზე გამოძიება ქურდობის მუხლით მიმდინარეობს.

# კერესელიძის ქუჩაზე 72 წლის ქალი დააყაჩაღეს



კერესელიძის ქუჩაზე 72 წლის ქალს ყაჩაღობის მიზნით ფიზიკურად გაუსწორდნენ.

შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა სახლიდან თანხა და ძვირფასეულობა წაიღეს.

საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. ძიება დაწყებულია 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

# ირაკლი ჩხვირკია ციხეში შიმშილობს



ბათუმის მოვლენების საქმეზე დაკავებული ირაკლი ჩხვირკიას ადვოკატი გიორგი ონიანი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკვე მეოთხე დღეა, რაც შიმშილობს.

ჩხვირკია თავს პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს.

მისი პროტესტის მიზეზი მისთვის წაყენებული ბრალდებაა, რაშიც იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ბრალდებული ციხეში შექმნილ პირობებსაც აპროტესტებს. ამასთან, იგი სახალხო დამცველთან შეხვედრასა და ქუთაისიდან თბილისში ე.წ. მატროსოვის ციხეში გადაყვანას ითხოვს.

სასჯელაღსრულების სამინისტროს განმარტებით, ჩხვირკიას მოთხოვნით რამდენიმე დღეა, ის სამარტოო საკანში იმყოფება, სადაც 24-საათიანი ვიდეო მეთვალყურეობა მიმდინარეობს. სამინისტროში აცხადებენ, რომ ბრალდებულმა გუშინ საკვები მიიღო.

# ბათუმში 60 წლამდე მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს




ბათუმში, ვარდების სკვერში, 60 წლამდე მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო დახმარებისა და საპატრულო ეკიპაჟები. მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტებიც.

მედიკოსებს მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ. ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მამაკაცს პირველადი დათვალიერებით, ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა.

თვითმხილველებისა და სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო ობიექტების თანამშრომლების თქმით, მამაკაცს ხშირად ხედავდნენ, თუმცა მას არ იცნობდნენ.

# კიბერშეტევა ბრიტანეთის პარლამენტზე



დიდი ბრიტანეთის პარლამენტზე კიბერშეტევა განხორციელდა. უცნობმა ჰაკერებმა დეპუტატების კომპიუტერებში შეღწევა და იქიდან მასალების მოპოვება ცადეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა ძალები დგანან ამ კიბერშეტევის უკან.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# ისრაელმა ასადის არმიას დაარტყა

ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალებმა ასადის არმიის პოზიციები დაბომბეს. შედეგად განადგურდა ორი ტანკი და ერთი ტყვიამფრქვევი.



– ასადის შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი ტერიტორია დაბომბეს. ეს კი დაუსჯელი არ რჩება, – ნათქვამია ისრაელის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

დიქტატორმა ასადმა ბრალდება უარყო. მან ისრაელის მოქმედებას აგრესია უწოდა.

– ჩვენი შეიარაღებული ძალები ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს ახორციელებდნენ. ისრაელის ტერიტორია არ დაგვიბომბავს, – ირწმუნება ასადი.

# ყირგიზეთი სირიაში ჯარს არ გაგზავნის



ყირგიზეთის პრეზიდენტმა ატამბაევმა უარყო მედიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი და პუტინის შეხვედრაზე სირიაში ყირგიზული სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა გადაწყდა.

– ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, – თქვა ატამბაევმა.

ამავე დროს, პრეზიდენტმა არ გამორიცხა, რომ ახლო მომავალში სირიის ფრონტზე ყირგიზი ჯარისკაცებიც ვიხილოთ.

– სირიაში მიმდინარეობს ბრძოლა საერთაშორისო ისლამურ ტერორიზმთან. ყირგიზეთი, ისევე, როგორც ყველა ცივილიზებული სახელმწიფო, მოვალეა, ამაში თავისი წვლილი შეიტანოს, – განაცხადა ატამბაევმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ერდოღანმა მეჩეთში გონება დაკარგა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა მეჩეთში სადღესასწაულო ლოცვის დროს გონება დაკარგა. ის მეჩეთში რამაზან ბაირამის დღესასწაულზე სალოცავად მივიდა.

ექიმების განცხადებით, პრეზიდენტს სასწრაფო სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ის გონს მოვიდა.

– დისბალანსი შაქართან და არტერიულ წნევასთან დაკავშირებულმა პრობლემამ გამოიწვია, მაგრამ თავს უკვე კარგად ვგრძნობ, – განაცხადა გონზე მოსვლის შემდეგ ერდოღანმა.

## გააფთრებულმა ბეჰემოთმა მარტორქა მოკლა



რეინჯერმა სტენლი რობერტსონმა ვიდეოზე გადაიღო ბეჰემოთისა და მარტორქის დაპირისპირება, რომელიც სამხრეთ აფრიკის კლეინ კარუს რეგიონში ერთ-ერთი ნაკრძალის წყალსატევთან მოხდა. ვიდეორგოლი დეილი სტარმა გამოაქვეყნა.

ვიდეოჩანაწერზე ჩანს, რომ თავდაპირველად ბეჰემოთი მარტორქას ულრენდა და ასეთი ხერხით მისი წყლიდან განდევნას ცდილობდა, თუმცა ის მის გაფრთხილებას არაფრად აგდებდა. შემდეგ კადრში კიდევ ერთი ბეჰემოთი გამოჩნდა, ხოლო პირველმა მარტორქა წყალში შეათრია და მოკლა.

– ჩვენ იქ იმისთვის მივედით, რომ მარტორქების დარწყულება გვენახა. საკმაოდ მშრალი პერიოდი იყო და, სავარაუდოდ, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ბეჰემოთი წყლის რესურსს გულმოდგინედ იცავდა. ბეჰემოთები უკიდურესად აგრესიულები გვალვის დროს ხდებიან. როგორც ჩანს, როდესაც მან მარტორქას წყლისკენ უბიძგა, ადრენალინმა იფეთქა მის სხეულში. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მსგავს რამეს საკუთარი თვალით ვნახავდი, – განაცხადა რობერტსონმა და იქვე აღნიშნა, რომ ეს უკიდურესად იშვიათი სანახაობა შემთხვევა იყო.

აღსანიშნავია, რომ ბეჰემოთები აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ცხოველად ითვლებიან. ყოველ წელს მათი მსხვერპლი მინიმუმ 500 ადამიანი ხდება. ამასთანავე, მოზრდილ მარტორქას, ადამიანის გარდა, არცერთი ცხოველი თავს არ ესხმის.

## ალჟირელი ფანჯრიდან ბავშვის გადაკიდებისთვის გაასამართლეს



ალჟირში პატიმრობა მიუსაჯეს მამაკაცს, რომელმაც საკუთარი შვილი ბინის ფანჯარაში გადაკიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა ფეისბუქში გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელშიც ჩანს, რომ ბინის ფანჯრიდან, რომელიც სახლის მე-15 სართულზე მდებარეობს, გარეთ ხელით გადაკიდებული ჰყავს პატარა ბიჭი. ბავშვის გამომეტყველებიდან გამომდინარე, მას ეშინია, თუმცა არ ესმის, თუ რა ხდება. ამ ფოტოსთვის თანდართულ კომენტარში მამაკაცმა დაწერა: „1000 მოწონება, თუ არადა, ხელს გავუშვებ“.

სოციალური ქსელის მომხმარებლები ამ ფოტომ და კომენტარმა აღაშფოთა და ალჟირის დედაქალაქის სამართალდამცავებს მოსთხოვეს, საქმეში გარკვეულიყვნენ. მამაკაცი 18 ივნისს დააპატიმრეს. მას ბრალად საკუთარი შვილის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ბრალდება წაუყენეს.

საბოლოოდ ალჟირელს ორი წლით პატიმრობა მიესაჯა.

## ბრიტანელმა საკვამურში გაჭედილი კატა გადაარჩინა



ბრიტანეთის მერსისაიდის საგრაფოში ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების თანამშრომელი საკვამურში იმისთვის შეძვრა, რომ კატა გადაერჩინა, რომელიც იქიდან თავის დაღწევას ოთხი დღის განმავლობაში ვერ ახერხებდა.

მეთ ბრაუნმა კატა, სახელად ლოლა, 2,5 მეტრი სიმაღლის საკვამური მილიდან გამოიყვანა. მამაკაცის თქმით, კატის მფლობელი ფიქრობდა, რომ მისი საყვარელი ცხოველი, უბრალოდ, დაიკარგა, სანამ კნავილი არ შემოესმა, რომელიც საკვამურიდან აღწევდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა კატა დიდი ხანი არ არის, რაც სახლში მიიყვანა, და როგორც ჩანს, ცხოველი ცდილობდა, თავისი ახალი საბინადროს ყოველი კუთხე-კუნჭული საგულდაგულოდ შეესწავლა. საბოლოოდ გათავისუფლებული კატა ვეტერინარულ საავადმყოფოში გამოსაკვლევად მიიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## ავსტრიაში შიშველი ქურდი დაიჭირეს




ავსტრიის პოლიციამ დააკავა შიშველი მამაკაცი, რომელიც ქურდობაშია ეჭვმიტანილი. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

ვენის სასტუმროს ნომერში ფანჯრიდან გადამძვრალმა მამაკაცმა მოიპარა მაჯის საათი და ფული, რომელიც იქ მცხოვრებს ეკუთვნოდა. შემდეგ ეჭვმიტანილი ვესტიბიულში ჩავიდა, სადაც იქ მყოფებმა შენიშნეს, რის შემდეგაც ის სასტუმროს სახურავზე აძვრა.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარება და მეხანძრეები გამოიძახეს. როდესაც ისინი ადგილზე მივიდნენ, მამაკაცი სახურავიდან ჩამოსულიყო და სხვა ნომერს აფარებდა თავს.

გაირკვა, რომ ამ აურზაურის გამომწვევი იმავე სასტუმროს ბინადარი იყო. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მას საკუთარ ნომერში მძინარეს მიაგნეს. მათ მამაკაცი გააღვიძეს, აიძულეს, ტანსაცმელი ჩაეცვა და მხოლოდ ამის შემდეგ დააპატიმრეს.

პოლიციის განცხადების თანახმად, სავარაუდოდ, ამ ქმედებების დროს ეჭვმიტანილი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უცნობია, თუ რატომ გადაწყვიტა მან, ქურდობა შიშველ მდგომარეობაში ჩაედინა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.**

**თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## 16-კილოგრამიან კატას ახალი პატრონი ჰყავს

ამერიკის მერილენდის შტატში კატას, რომელიც 15,8 კილოგრამს იწონის, ახალი პატრონები გამოუჩნდა.

შინაური ცხოველის ახალი პატრონები გახდნენ კია ბერკლი და პიტერ სორკინი. ახლადდანიშნულებს უკვე ჰყავთ ორი კატა და ზღვის გოჭის წყვილი. ქალის თქმით, მას ძალიან უყვარს მსუქანი ცხოველები და ხუთი წლის სიმბა პირველივე ნახვით შეუყვარდა. ბერკლიმ აღნიშნა, რომ თავშესაფარში ყოფნის დროს კატა მოწყენილად გამოიყურებოდა და, როგორც ჩანს, თავისი ადრინდელი პატრონები ენატრებოდა.

წყვილი აპირებს, სიმბა დიეტაზე დასვან და მისთვის ფიზიკური ვარჯიშის პროგრამა შეიმუშაონ, ასევე ცხოველს აუცილებელ სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ. სოციალურ ქსელ ფეისბუქში სიმბასთვის გვერდი შეიქმნა და მას უკვე 1,4 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# კონფედერაციის თასზე ორი ნახევარფინალისტი ცნობილია

**ახ.ზელანდია-პორტუგალია 0:4**

**სანკტ-პეტერბურგი. კრესტოვსკი სთედიუმი**

0:1 რონალდუ (33პ), 0:2 ბერნარდუ სილვა (37), 0:3 ანდრე სილვა (80), 0:4 ნანი (90)

**ახ.ზელანდია:** მარინოვიჩი, ინგამი, ბოქსალი, დურანტე (შმელცი 74), სმიტი, დოილი ლუისი (ბარბაროსესი 65), მაკგლინჩი (ტუილომა 37), ტომასი, ვუდი, როხასი

**პორტუგალია:** რუი პატრისიუ, სემედუ, პეპე, ბრუნო ალვეში, ელიზეუ, კვარეჟმა (ჟელსონი 90), დანილო, მოუტინიო, ბერნარდუ სილვა (პიცი 46), ანდრე სილვა, რონალდუ (ნანი 67)

ევროპის ჩემპიონებმა ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარეს ზელანდიელებს. რონალდუსა და კამპანიას ნახევარ საათზე ცოტა მეტი დასჭირდა პირველი გოლის გასატანად, მაგრამ მანამდეც ახლოს იყვნენ მიზანთან.

კრიშტიანუმ პენალტით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ბუნებრივად წყალივით წავიდა. ბურთი სტეფან მარინოვიჩის კარში კიდევ 3-ჯერ აღმოჩნდა. თუმცა, მანამდე ზელანდიელთა მეკარემ იმდენჯერ იხსნა თავისიანები, ანგარიში, შესაძლოა, ორნიშნა ციფრით დაფიქსირებულიყო. პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს თავის მეკარეს. გასაოცარია, რომ ტანმორჩილი პორტუგალიელები საჰაერო ორთაბრძოლებსაც კი უგებდნენ ტანმაღალ მცველებს.

პირველად მოხდა, რომ რონალდუმ ამ ტურნირზე პირველად არ ითამაშა ბოლომდე და 67-ე წუთზე კაპიტნის სამკლავური ნანის გადაულოცა. ერთია, ამ ფაქტს პორტუგალიელთა თამაშზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია – სანტუშის შეგირდებმა თავისი ლიდერის გარეშეც 2 გოლი გაიტანეს.

პორტუგალია პირველი ადგილით გავიდა ჯგუფიდან და თავის მეტოქეს ელოდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სტეფან მარინოვიჩი

4 გოლის გამშვები მარინოვიჩი საუკეთესო იყო შეხვედრაში. პორტუგალიელებთან კი მართლაც საოცრებები ჩაიდინა.

**მექსიკა-რუსეთი 2:1**

**ყაზანი. ყაზან არენა**



0:1 სამედოვი (25), 1:1 არაუხო (30), 2:1 ლოზანო (52)

**მექსიკა:** ოჩოა, დ.რეიესი (ლ.რეიესი 39), არაუხო, მორენო, ლაიუნი, დოს სანტოსი, ერერა, გუადრადო (ოსვალდო 70), ლოზანო, ხავიერ ერნანდესი, ველა (აკინო 46)

**რუსეთი:** აკინფეევი, სამედოვი, ჯიქია, ვასინი, კუდრიაშევი, ჟირკოვი, ეროხინი (სმოლნიკოვი 70), გლუშაკოვი, გოლოვინი, ბუხაროვი (პოლოზი 64), სმოლოვი (კანუნიკოვი 78)

**გაძევება:** ჟირკოვი (68)

არ გამოუვიდათ მასპინძლებს სასურველი შედეგის მიღწევა და ნახევარფინალის საგზური მექსიკელებს გადაულოცეს. შედეგს რომ ვერ მიაღწიეს ერთია და რუსებს არც თამაში გამოუვიდათ – მექსიკელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და დამსახურებულად გავიდნენ შემდეგ ეტაპზე.

პირველი ტაიმი მასპინძლებს თითქოს ცუდი არ გამოუვიდათ, მაგრამ მე-2 ნახევარი სრულიად ჩააგდეს და კონფედერაციის თასზე დასახული ამოცანა ვერ შეასრულეს.

მექსიკელებს კი უნდა მივულოცოთ შემდეგ ეტაპზე გასვლა. ლათინოსებმა, პირველადგილოსანი პორტუგალიის მსგავსად, 7 ქულა დააგროვეს და მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჯონათან დოს სანტოსი

ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა მექსიკელთა ნახევარმცველმა. მოედნის შუაგულში დიდი სამუშაო შეასრულა – შლიდა მეტოქის შეტევებს, იწყებდა თავისი გუნდისას. განსაკუთრებით უნარიანად ხელმძღვანელობდა შეტევებს...

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| 2.მექსიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| 3.რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| 4.ახ.ზელანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

# გიორგი ყიფიანმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად დასკვნითი შეკრება დაიწყო. გიორგი ყიფიანმა გუნდს თავი სასტუმრო „მოხალისეში“ მოუყარა, ხოლო 30 ივნისიდან უკვე „ჰუალინგში“ გადაინაცვლებს, სადაც ევროპის ჩემპიონატის მონაწილე რვავე ნაკრები დაბინავდება.



საქართველოს 19-წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უკვე შეარჩია ის 22 ფეხბურთელი, რომელთაგანაც მოუწევს სატურნირო 18-კაციანი განაცხადის შევსება. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ბოლომდე გამოირიცხა თბილისის ლოკომოტივის შემტევის, რატი არდაზიშვილის ევრო-2017-ზე თამაში.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩს საქართველოს ნაკრები 2 ივლისს გორში პორტუგალიის წინააღმდეგ ჩაატარებს.

გიორგი ყიფიანის 22-კაციანი სია კი ასეთია:

**მეკარეები:** ლუკა გუგეშაშვილი (იაგელონია, პოლონეთი), გიორგი ჩოჩიშვილი (შევარდენი);

**მცველები:** დავით კობოური, ლუკა ლოჩოშვილი, ლუკა ქაფიანიძე (ყველა დინამო თბ), ნიკა მალი, ლუკა ლაკვეხელიანი, თომა ხუბაშვილი (ყველა საბურთალო), შალვა ბურჯანაძე (ტორპედო), ალექსანდრე კახიძე (ინტერ-მოსკოვი, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** გიორგი კუცია, გიორგი ჩაკვეტაძე (ორივე დინამო თბ), დავით სამურკასოვი, ირაკლი ბუღრიძე (ორივე ლოკომოტივი), ლუკა ფოჩხუა (შევარდენი), გიორგი ქოჩორაშვილი, თემურ ჩოგაძე (ორივე საბურთალო), ნიკა კვანტალიანი (დინამო ბთ);

**თავდამსხმელები:** გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ვატო არველაძე (ლოკომოტივი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა), გაბრიელ საღრიშვილი (ტორპედო).

# ბორჯღალოსანთა გაორებული თამაში არგენტინასთან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თამაში რომ განახლდა რამირო მოჟანომ ვასილ ლობჟანიძე ჰაერში შებოჭა და სინბინით დაისაჯა. ერთ წუთში ლობჟანიძემ ხაზი გაჭრა და კარგად იარა, იერიში მარცხენა ფლანგზე გაიშალა, თუმცა მეტოქის 22-ში აუტში გადაგვიყვანეს. კაცნაკლულმა არგენტინამ თამაშის ჩვენს ნახევარზე გადმოტანა შეძლო და სანჩესმა კიდევ 2 ჯარიმა გაიტანა, ხოლო 33-ე წუთზე რეფერიმ გიორგი ნემსაძე გაასინბინა და 10 წუთით კაცნაკლული დაგვტოვა.

სამაგიეროდ, მასპინძლებმა მეტობა კარგად გამოიყენეს და მოლით ლელო აგუსტინ კრევიმ დადო, 37-ე წუთზე კი ლელოში ხოაკინ ტუკულეტი შევიდა. სანჩესმა ორივე გარდასახა.

ტაიმის ბოლოს ფანტასტიკური ლელო დავდეთ. ლაშა ხმალაძემ ხაზი გაჭრა და კარგად იარა, 3 პასის შემდეგ ლობჟანიძემ ბურთი კიდევ უფრო წინ წაწია და შებოჭილმა დავით კაჭარავას ამოუგდო, რომელიც 2 მცველს შორის გაძვრა და პირველი ტაიმი მასპინძლებმა 26:8 მოიგეს.

მეორე ტაიმი მეკვის შეცდომით დაიწყო, მოჟანომ ჩვენს 22-ში გრძელი პასი ჩაჭრა და ლელომდე უპრობლემოდ ირბინა. 51-ე წუთზე არგენტინელებმა ვალი დაგვიბრუნეს და მათი შეცდომის შემდეგ 5-მეტრა შერკინება დაინიშნა. პუმებმა მთელი პირველი ხაზი გამოცვალეს, მაგრამ ამან ვერ უშველა და საჯარიმო ლელო მივითვალეთ – 33:15.

მომდევნო 5 წუთში მოჟანომ ორჯერ გაიბრწყინა და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე კიდევ ორჯერ დაგვალელოვა, მაგრამ ბორჯღალოსნები არ გატყდნენ და დასკვნით 20 წუთში ინიციატივას დაეუფლნენ.

65-ე წუთზე ხმალაძემ ბურთი ფეხით მეტოქის ლელოში ჩაკიდა, მაგრამ ნემსაძე მას ვერ შესწვდა. სამიოდე წუთში 5-მეტრიანი შერკინების შემდეგ მორკინალებმა ახლოში რამდენჯერმე დაარტყეს, მერე ბურთი ხაზში გავიტანეთ და სოსო მათიაშვილმა ლელოში დაამიწა. გარდასახვა მანვე შეასრულა. ბოლოსწინა წუთზე დერეფანში მოვიგეთ ბურთი, კარგი მოლი დავაყენეთ შალვა მამუკაშვილმა ჩვენი გუნდის მეოთხე ლელო დადო, ხოლო მათიაშვილმა გარდასახა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 45:29 არგენტინის სასარგებლოდ.

## რომამ სალაჰი გაუშვა და ნაინგოლანს ყიდის

რომა მზადაა, გუნდიდან ბელგიელი ნახევარმცველი რაჯა ნაინგოლანი გაუშვას, რომლითაც აქტიურ დაინტერესებას მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი და ინტერი გამოხატავენ. იტალიელები რაჯას სანაცვლოდ 30 მილიონს ითხოვენ.

იტალიური მედიის ცნობით, ნაინგოლანის კონტრაქტის გამოსასყიდი თანხა 50 მილიონს შეადგენს, თუმცა რომა მზადაა, დათმობაზე წავიდეს. მიზეზი ის არის, რომ, ფეარ პლეის წესების თანახმად, მათ ივნისის ბოლომდე 30 მილიონი უნდა გამოიმუშავონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იტალიურ კლუბს დიდი ფულადი სანქციების გადახდა მოუწევს, გარდა ფულადი ჯარიმისა, იტალიელებს შესაძლოა გარკვეული დროით ტრანსფერების გაკეთებაც აეკრძალოთ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რომაა მზადაა, 50 მილიონის ნაცვლად 30 მილიონს დასჯერდეს.

ნაინგოლანი რომას კალიარიდან 2013 წელს შეუერთდა, ამ დროის განმავლობაში ბელგიელმა „მგლების“ მაისურით 160 შეხვედრა ჩაატარა, გარდა ამისა, რაჯას ეროვნულ ნაკრებში 28 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

არადა, რომამ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი ლიდერი გაყიდა – მოჰამედ სალაჰი, რომელიც კარიერას ლივერპულში გააგრძელებს.

გაგაცნობთ მოჰამედ სალაჰის სატრანსფერო დეტალებს, რომელიც რომას ვებგვერდზე გავრცელდა.

სალაჰი ლივერპულის რიგებში პირველ ივლისს ჩაირიცხება, რადგან ამ დღეს იხსნება ინგლისში ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა და სწორედ ივლისიდან შეეძლება მას, ახალი გუნდის სახელით ჩატარებულ მატჩებში მიიღოს მონაწილეობა.



ბოლო ინფორმაციით, რომა უარს აცხადებდა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 43 მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლები აეღო, ლივერპული კი 39 მილიონზე მეტის გადახდას არ აპირებდა. საბოლოოდ კი შეთანხმდნენ შემდეგზე:

ლივერპული ამ მომენტისთვის ეგვიპტელის სანაცვლოდ 36.9 მილიონ გირვანქას გადაიხდის, ხოლო იტალიური კლუბი შემდეგი 1 წლის განმავლობაში ბონუსს მიიღებს. ბონუსის ოდენობა დამოკიდებული იქნება სათამაშო დროზე, გოლებსა და ასისტებზე, მაგრამ მისი ოდენობა არაუმეტეს 7 მილიონი გირვანქა იქნება.

შეგახსენებთ, რომ სალაჰის ანგარიშზე გასულ სეზონში 41 შეხვედრაში 19 გოლი და 15 საგოლე პასი გახლდათ.

# კონტე იუვენტუსის ფეხბურთელებით ინტერესდება

ინგლისური მედიის მტკიცებით, ლონდონის ჩელსი მზადაა, ტურინის იუვენტუსს 115 მილიონი ევრო შესთავაზოს 2 ფეხბურთელის სანაცვლოდ – არისტოკრატთა სამიზნეები ალექს სანდრო და ლეონარდო ბონუჩი არიან.

როგორც ჩანს, ლონდონელებს ბონუჩიზე მეტად სანდრო აინტერესებთ, რადგან ტურინელთა უარის შემდეგ, ალექს სანდროსთან დაკავშირებით ახალი წინადადება გააკეთეს და მისი შესასყიდი ფასი 60 მილიონიდან 70 მილიონზე აწიეს.

იუვენტუსის პოზიცია ამ ყოველივეზე მაინც უცვლელი რჩება. კლუბი არ აპირებს სანდროსთან განშორებას და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თავად ბრაზილიელი წასვლას მოისურვებს, რაც აქამდე ჯერ არ დაფიქსირებულა.

თავის მხრივ, კონტე მზადაა, ტრანსფერში ცეზარ ასპილიკუეტაც ჩართოს.

თავად იტალიური მედია სანდროს წასვლის შემთხვევაში რამდენიმე კანდიდატურას გვთავაზობს. საგულისხმოა, რომ 3 წარმოდგენილი ვარიანტიდან ყველა იტალიელია. საერთოდ ტურინელებს წლევანდელ ბაზარზე კურსი აშკარად აპენინური წარმოშობის მოთამაშეებზე აქვთ გაკეთებული, ყოველ შემთხვევაში, თუ პრესის ფურცლებს დავუჯერებთ, ესენი არიან მატეო დარმიანი, მატეა დე შილიო და ლეონარდო სპინაცოლა. ამ უკანასკნელის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და მათ ატალანტის დარწმუნება მოუწევთ, რომ არენდიდან ვადაზე ადრე დააბრუნონ ტურინში.

# ძალოსანთა სამი მედალი მსოფლიოს ჩემპიონატიდან

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსნობაში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს პირველობაზე 4 სპორტსმენით (რეზი დავითაძე, ირაკლი ჩხეიძე, დავით ხეცურიანი, გიორგი ჩხეიძე) იყო წარდგენილი, ჯამში, 7 მედლის მოპოვება მოახერხა: 2 ოქრო, 2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო.

105 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ორჭიდის ჯამში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა დავით ხეცურიანმა, ატაცში კი ის სულაც პირველი გახლდათ.

საინტერესოა, რომ პირველ მოძრაობაში დავითმა სამივე მისვლა (165, 170 და 173 კგ.) გამოიყენა და მე-2 ადგილზე გასულ ირანელ ბეირალვანდის 10 კგ-ით უსწრებდა, თუმცა, დიდი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

აკვრაში დავითმა 195-კილოგრამიანი შტანგა მხოლოდ მე-2 მისვლაზე ასწია, 201 კგ-ს კი ველარ გაუმკლავდა და ამ მოძრაობაში მე-4 გახლდათ.

საბოლოოდ, ხეცურიანმა 368 კგ. მოაგროვა და მხოლოდ 1 კგ-ით ჩამორჩა პირველ ადგილზე გასულ ირანელს, რომელმაც აკვრაში 206-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა.

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი სომეხ გასპარიანს (365 კგ.) ერგო, მე-4 ადგილზე კი საქართველოს ნაკრების კიდევ 1 წევრი ირაკლი ჩხეიძე გავიდა. მან ატაცში 161 კგ. დასძლია, აკვრაში – 195 კგ. და ჯამურად 356 კგ მოუგროვდა.

გიორგი ჩხეიძე მძიმე წონაში (+105 კგ.) ვერცხლის მედალოსანი გახდა. გიორგიმ ატაცში სამივე მისვლა (175, 180 და 184 კგ.) გამოიყენა და მცირე ბრინჯაოს მფლობელი გახდა, აკვრაში კი 221-კილოგრამიანი შტანგა დაუვარდა, რის შემდეგაც გარისკა და 222 კგ-ს გაუმკლავდა. შედეგად, ქართველმა ძალოსანმა მე-2 მოძრაობაშიც მცირე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, ჯამში კი, 406 კგ. მოუგროვდა და მსოფლიოს ვიცეჩემპიონი გახდა. ტურნირის გამარჯვებული სომეხი სიმონ მარტიროსიანი (426 კგ.)




შეიქმნა, მე-3 ადგილს კი სერბი ტამაშ კაიდოჩი (403 კგ.) დაეუფლა.

რეზი დავითაძემ (85 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დავითიძემ ატაცში სამივე მისვლა გამოიყენა და მცირე ოქროს მედალი აიღო – რეზიმ 154, 159 და 162 კილოგრამი დააფიქსირა. აკვრაში კი, მხოლოდ ერთი მისვლა გამოიყენა, 185 კილოგრამი აჩვენა, ორჭიდის ჯამში 347 კილოგრამი მოაგროვა და მესამე ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გავიდა ვენესუელელი კეიდომარ ჯიოვანი (348), ხოლო პირველ ადგილზე – კატარელი ფარეს იბრაჰიმი (353).

## შედეგები

**24 ივნისი**

**ფეხბურთი**

**კონფედერაციის თასი**

ახ.ზელანდია-პორტუგალია .......... 0:4
მექსიკა-რუსეთი .......................... 2:1

**ევროპის ჩემპიონატი (21)**

დანია-ჩეხეთი .............................. 4:2
იტალია-გერმანია ........................ 1:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი ოფი**

ხეტაფე-ტენერიფე ........................ 3:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-ლილესტრომი ............. 3:1

მოამზადა მიხეილ ყორყოტაშვილმა



# როდის ხდება მხედველობის ფუნქციის შემოწმება

ეკა ირემაშვილი

ბავშვთა ასაკის თვალის დაავადებები საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ყველაზე გავრცელებულია მხედველობის მანკი ანუ მხედველობის შეფერხება. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს რეფრაქციის მანკს, რაც თავისთავად მოიცავს ახლომხედველობას ან შორსმხედველობას, შეიძლება უკავშირდებოდეს ნევროლოგიურ პრობლემებს და ასევე თვალის თანდაყოლილ პათოლოგიებსაც, როგორიც არის კატარაქტა.

როდის ხდება მხედველობის ფუნქციის შემოწმება და როდის უნდა მივმართოთ ექიმს? — ამ თემებზე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ამბულატორიული დეპარტამენტის ექიმი-ოფთალმოლოგი ხათუნა ჯაყელი საუბრობს.



ხათუნა ჯაყელი

**ხათუნა ჯაყელი:**

— ბავშვთა ასაკის თვალის დაავადებები საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ყველაზე გავრცელებულია მხედველობის მანკი ანუ მხედველობის შეფერხება. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს რეფრაქციის მანკს, რაც თავისთავად მოიცავს ახლომხედველობას ან შორსმხედველობას, შეიძლება უკავშირდებოდეს ნევროლოგიურ პრობლემებს და ასევე თვალის თანდაყოლილ პათოლოგიებსაც, როგორიც არის კატარაქტა.

***— როდის ხდება მხედველობის ფუნქციის შემოწმება?***

— ადრეული ასაკიდანვე. მშობელი ვალდებულია, დაბადებიდანვე თვალყური ადევნოს ბავშვის მხედველობის განვითარებას. ჯანმრთელ ახალშობილს დაბადებისთანავე აღენიშნება სინათლის შეგრძნება. ფორმული მხედველობა მოგვიანებით ყალიბდება. დაახლოებით 1.5-2 თვის ასაკიდან ბავშვი იწყებს საგნების ფიქსაციას, თვალის გადევნებას, უფრო მოგვიანებით, 6 თვის ასაკიდან საგნებს ათვალიერებს უფრო შორი მანძილიდან. საბოლოო მხედველობა კი ყალიბდება 3-დან 5 წლის ასაკისთვის.

***— რა შემთხვევაში უნდა მივმართოთ ექიმს?***

— თუ დარღვეულია ფიქსაციისა და თვალის გადევნების რეჟიმი. თუ ბავშვი 1.5-2 თვის ასაკისთვის ინდიფერენტულია საგნების მიმართ, არ რეაგირებს დედის მიახლოებაზე, საწოვარის მიტანის დროს, ასეთ შემთხვევაში მშობელი ვალდებულია, მიმართოს ოფთალმოლოგს.

***— თუ ბავშვს აქვს სიელმე?***

— თუ გამოხატულია თვალის კაკლების არასწორი დგომა, ესეც ექიმთან ვიზიტის ნიშანია, მაგრამ, აქვე მინდა ვთქვა, რომ ახალშობილის თვალის კაკლების დგომას განაპირობებს თვალის კუნთები. ახალშობილის თვალის კუნთები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, არ არის გამაგრებული, ამიტომ ამ მიზეზებით შეიძლება განპირობებული იყოს თვალის კაკლის არასწორი დგომა. ეს დროთა განმავლობაში გამოსწორებადია, მაგრამ, თუ თვალის კაკლის არასწორი დგომა არის სისტემატური და არ არის ეპიზოდური, აუცილებელია ექიმთან ვიზიტი, რათა დროულად იქნეს გამოვლენილი სიელმის მიზეზი და მოხდეს მისი დროული კორექცია.

***— საჭიროა თუ არა სასკოლო ასაკისთვის ბავშვის ოფთალმოლოგთან მიყვანა?***

— რა თქმა უნდა, აუცილებელია. სასკოლო ასაკი ბავშვის განვითარების სულ სხვა ეტაპია. ამ დროს იწყება მისი მხედველობითი ფუნქციის მეტი დატვირთვა. ბავშვი იწყებს წერას, კითხვას. თუ ბავშვს აღენიშნება მხედველობის მანკი და ის ჯერ არ არის გამოვლენილი, იწყება სულ სხვა ჩივილები, მაგალითად, ადვილად დაღლა, თავის ტკივილი, შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები ხერხემალთან დაკავშირებითაც. ამიტომ აუცილებელია, სასკოლო ასაკისთვის შემოწმდეს ბავშვის მხედველობა, რომ თავიდან ავიცილოთ ყველანაირი გართულება.

***— კიდევ რა პრობლემებით მიმართავენ მშობლები ოფთალმოლოგს?***

— ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა კონიუნქტივიტები. კონიუნქტივიტი არის კონიუნქტივალური გარსის ანთება, რომელიც თავისი წარმოშობის ანუ ეტიოლოგიის მიხედვით სხვადასხვაგვარია.

კონიუნქტივიტის ნიშნებია თვალის ჩაწითლება, ცრემლდენა, ქავილი, გამონადენი თვალიდან. ნებისმიერი ამ სიმპტომიდან ოფთალმოლოგთან ვიზიტის აუცილებლობის მიზეზია.

თვალი ღია ადგილია, ამიტომ მის ლორწოვანში უხვად არის მიკრობები, რომლებიც თვალის ნორმალური ფუნქციონირების შემთხვევაში არ არის პათოლოგიური.

ორგანიზმის ყველა ის ზოგადი დაავადება, რომლებიც იწვევს იმუნური სისტემის შესუსტებას, როგორებიცაა ვირუსული, ინფექციური, ალერგიული დაავადებები, შესაბამისად, იწვევს თვალის ანთებითი დაავადებების განვითარებას. ამ დროს თვალში არსებული მიკრობები იწყებენ პათოლოგიურ ზრდას, რაც გამონადენის სახით გამოიხატება.

***— ახალშობილებში თვალიდან გამონადენი ხშირად საცრემლე არხთან დაკავშირებული პრობლემებია...***

— რაც შეეხება საცრემლე არხს, თვალში მუდმივად გამომუშავდება ცრემლი და ცხიმი. ცხიმს გამოიმუშავებენ ე.წ. მეიბომის ჯირკვლები. გამომუშავებული ცრემლი და ცხიმი საცრემლე არხის საშუალებით ევაკუირდება ცხვირში. იმ შემთხვევაში, როდესაც საცრემლე არხის პრობლემებია ანუ საცრემლე არხი ან გაუმტარია, ან არ არის საკმარისად გამტარი, ხდება გამომუშავებული ცრემლის შეგუბება თვალში, რაც განაპირობებს მასში არსებული მიკრობების პათოლოგიურ ზრდას, რაც აგრეთვე გამონადენის სახით გამოიხატება.

ასეთ დროს მშობლები ექიმს მიმართავენ, რომ ჰქონდა ბავშვს კონიუნქტივიტი, ჰქონდა გამონადენი, ჩაატარეს მკურნალობა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ისევ გამეორდა.

საცრემლე არხის უკმარისობის სიმპტომებია: ცრემლსავსეობა, ცრემლის გარეთ გადმოდინება და მორეციდივე კონიუნქტივიტები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, მშობელმა მიმართოს ექიმს, რათა დროულად მოხდეს საცრემლე არხის გამტარიანობის აღდგენა და, შესაბამისად, დავიცვათ ბავშვი მორეციდივე კონიუნქტივიტებისაგან.

ამ დროს ქირურგიული მანიპულაციის სახით ხდება საცრემლე არხის ზონდირება, რათა მოხდეს საცრემლე არხის გამტარიანობის აღდგენა.

## კალეიდოსკოპი

### მეთევზემ ნაპირზე გამორიყულ ბოთლში ჩადებული წერილის ავტორი მოძებნა




მეთევზე რაიან ბარჩეტმა მოახერხა, მოეძებნა ავტორი იმ წერილისა, რომელიც ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ფერნანდინა-ბიჩის სანაპიროზე ნაპოვნ ბოთლში იდო.

როდესაც ბერჩეტი პლაჟზე მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად სეირნობდა, მან ქვიშაში ჩაფლული ყავისფერი მინის ბოთლი შენიშნა.

— როდესაც ის ავიღე და მზის შუქზე გავხედე, შიგნით წერილი შევნიშნე, — იხსენებს მეთევზე.

— ეს ბოთლი ფლორიდაში, ფერნანდინა-ბიჩთან ზღვაში 1981 წლის 10 ივნისს ჩავუშვი, — ეწერა ქაღალდის ფურცელზე, — მადლობელი დავრჩები მისი მპოვნელის, თუ შემატყობინებს, სად, როდის და ვინ იპოვა. ჩემი მისამართი წერილის მეორე მხარესაა მითითებული. გმადლობთ. დუგლას სტივენსი.

თხოვნის შესრულება არც ისე ადვილი გამოდგა. 36 წლის განმავლობაში ჯორჯიის შტატში მდებარე სახლმა, სადაც 1981 წელს წერილის ავტორი ცხოვრობდა, რამდენიმე მფლობელი შეიცვალა. ბერჩეტმა გადაწყვიტა, ძებნა ინტერნეტში განეგრძო. ის თავად სოციალური ქსელებით არ სარგებლობს, ამიტომ ფეისბუქში განცხადება მისმა ნაცნობებმა განათავსეს.

განცხადებამ ასეულობით კომენტარი მიიღო, გაზიარებამ 1500-ს გადააჭარბა და საბოლოოდ მიაღწია იმ ადამიანებამდე, რომლებიც დუგლას სტივენსს იცნობდნენ. მან დაურეკა ბერჩეტს. მათ ტელეფონით ისაუბრეს და ამ ზაფხულს შეხვედრაზე შეთანხმდნენ. როგორც გაირკვა, სტივენსმა წერილი ბავშვობაში დაწერა, როდესაც ფერნანდინა-ბიჩში ისვენებდა.

### მძღოლი მიმავალი მანქანის კაპოტიდან ამომძვრალმა გველმა შეაშინა

ამერიკის ტეხასის შტატში მძღოლი შეაშინა გველმა, რომელიც მისი მიმავალი მანქანის კაპოტიდან ამოძვრა.

მანქანაში მჯდომი მეორე მამაკაცის თქმით, მძღოლმა მოულოდნელად კრუიზ-კონტროლი ჩართო, სატერფულებს თავი ანება და სავარძელზე ფეხებით ავიდა. მის მგზავრს თავიდან არ ესმოდა, თუ რა ხდებოდა, სანამ კაპოტის ქვევიდან გამომძვრალი ქვეწარმავალი არ დაანახვეს.



ყვირილითა და ნერვული სიცილით მამაკაცები გველს ავტომობილიდან ჩასვლას ევედრებოდნენ.

— ქოლგა ხომ არ ვატაკო? — შესთავაზა ერთმა მეორეს.

— რამსიგრძეა, — წამოიძახა მეორემ.

ქვეწარმავალი საქარე მინასთან მისრიალდა და კაპოტზე ასვლა დაიწყო. როდესაც ნათელი გახდა, რომ გველი მანქანიდან ჩასვლას არ აპირებდა, მძღოლმა გადაწყვიტა, მკვეთრად დაემუხრუჭებინა ავტომობილი, რათა ასე მაინც გადმოეგდო ქვეწარმავალი.

გველი შხამიანი არ გამოდგა. მას ფიჭვის გველს ეძახიან. ისინი სიგრძეში 2,5 მეტრს აღწევენ და ტეხასში ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული.

## ასტროპროგნოზი
## 26 ივნისისთვის



**ვერძი** — დღეს ახალი და საინტერესო ნაცნობობა გელით. საოჯახო საქმეები საჩქაროდ მოაწესრიგეთ. **კურო** — კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. **ტყუპები** — იაქტიურეთ. შემოქმედებით სფეროში გაგიმართლებთ. საღამოს ოჯახში ბევრი საქმე დაგიგროვდებათ. **კირჩხიბი** — პარტნიორს მიენდეთ. მისი დახმარებით ფინანსურ კეთილდღეობას მოიპოვებთ. **ლომი** — სასიცოცხლო პოტენციალი ძალიან მაღალია. ყველა საქმე იდეალურად გამოგდით. **ქალწული** — შრომა დაგიფასდებათ. ხელმძღვანელობის კეთილგანწყობა გარანტირებული გაქვთ. **სასწორი** — იზრუნეთ სულიერ სიმშვიდეზე. ემოციები მაქსიმალურად მოთოკეთ. **ღრიანკალი** — წინააღმდეგობრივი დღეა. ნეგატივი და პოზიტივი ერთმანეთს ცვლის. **მშვილდოსანი** — დღეს თქვენს შესაძლებლობებს სრულად გამოავლენთ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ შემოქმედებითი კუთხით. **თხის რქა** — კარდინალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ინტუიციას მიენდეთ და მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **მერწყული** — თუ ილუზიებს აჰყვებით, იმედი გაგიცრუვდებათ. ემოციურად არასტაბილური დღეა. **თევზები** — ფინანსური მდგომარეობა კრიზისულია. ფული მომჭირნედ ხარჯეთ. რეპუტაციას გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

### ნათესავებს პრინც ჰარის გამეფება არ სურთ



ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ ისაუბრა იმის თაობაზე, რომ სამეფო ოჯახის წევრებს არ სურთ, ის ტახტის მემკვიდრე გახდეს. მან ამაზე ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, მისი ნათესავებიდან თუ სურს რომელიმეს, რომ მან ტახტი დაიკავოს, 32 წლის ჰარიმ უარყოფითად უპასუხა: „არა, მაგრამ საჭირო დროს ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ".

აღსანიშნავია, რომ პრინცს ადრეც არასოდეს დაუმალავს, რომ არ სურს ქვეყნის ყველაზე უმაღლესი ტიტული დაიკავოს, ახლა კი განაცხადა, რომ ანალოგიური განწყობა აქვთ მამამისს, პრინც ჩარლზსა და ძმას, პრინც უილიამს.

ჰარიმ ასევე სამეფო ოჯახის ახალგაზრდა თაობის შეხედულება გამოთქვა მონარქიაზე:

— მონარქია — ეს სიკეთის ძალაა. ჩვენ გვსურს, შევინარჩუნოთ ის პოზიტიური ატმოსფერო, რომელიც დედოფალმა 60 წლის განმავლობაში დაამკვიდრა, თუმცა მის საგულდაგულოდ გამეორებას არ შევეცდებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სკანვორდი



1. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 2. ... რიჩი; 3. სისწრაფე; 4. თხრობითი გაულექსავი ლიტერატურა; 5. საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 6. ... ანდერსენ ნექსე; 7. პიტალო კლდე; 8. სოფელი ლეჩხუმში; 9. იუპიტერი ძველქართულად; 10. მდინარე ევროპაში; 11. ბელორუსის დედაქალაქი; 12. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 13. ტვირთის სათავსი ადგილი გემზე; 14. ულირსი მშობლის ფულადი სასჯელი; 15. წონის ერთეული; 16. იგივეა, რაც მოჩვენება; 17. ბერნარ ... (ფრანგი ქართველოლოგი); 18. მდინარე გურიაში; 19. იალქანი; 20. დროის მონაკვეთი კრივში; 21. ზაფხულის თვე; 22. მარტივი ცილა; 23. ქართული ვოკალური კვარტეტი; 24. ასო „ფ"-ს სახელწოდება; 25. მზის სისტემის პლანეტა; 26. დამხმარე თეორემა; 27. ქალბატონი (ინგლისურად); 28. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 29. ფრანგული ჯიშის ცხვარი; 30. „... დამაცადე!"; 31. ქალის სამოსელი; 32. სანელებელი; 33. ლამების გვარის სამხრეთამერიკული ცხოველი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყაჭი; 2. უწერა; 3. ოპეკი; 5. როტარუ; 6. ლოგოპედი; 9. კომპრომისი; 10. კოპიტნარი; 11. ბარისტერი; 14. გოა; 16. საფარა; 18. ყავა.

**თარაზულად:** 1. ყურუში; 4. ზარზუელა; 7. მელაძე; 8. კუპდარი; 12. იმაგო; 13. აგენტი; 15. ბინომი; 17. ძმა; 19. სტენოკარდია; 20. ლიონი; 21. ღამურა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარცინო; 2. ეთიკა; 3. მალთაყვა; 4. კიშლაკი; 5. შერმადინი; 9. ამქარი; 12. თეოლოგია; 14. ორშიმო; 15. ღელე; 17. სტუკო; 18. ყრმა.

**თარაზულად:** 6. დავითი; 7. გაბრიაძე; 8. აცტეკა; 10. ლავრა; 11. ნოქალაქევი; 13. მოლაღური; 16. ხერესი; 19. რიტორიკა; 20. კომერცია.

# ანიტა რაჭველიშვილი წლის საუკეთესო მომღერლის ნომინაციაზე წარადგინეს



ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი 2017 წლის საუკეთესო საოპერომ მომღერალი ქალის ნომინაციაზე წარადგინეს.

ანიტასთან ერთად ამ ნომინაციაზე წარდგენილნი არიან მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერლები.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მეცო პრესტიჟული დაჯილდოების ნომინაციაზე საუკეთესოთა ჩამონათვალში ხვდება.

მსოფლიოს საუკეთესო კარმენად აღიარებული ანიტასთვის ხმის მიცემა ინტერნეტით არის შესაძლებელი

ანიტა რაჭველიშვილი:

– 2017 წლის საუკეთესო ქალი მომღერლის კატეგორიაში ხმის მიცემა დაიწყო! ჩემს სახელს სიის თავში იპოვით!

# ნინი ბადურაშვილი: „ქართველი მსმენელი ქართულ მუსიკას დაუბრუნდა"



მომღერალი ნინი ბადურაშვილი ბოლო პერიოდში ქართველი მსმენელის ქართულ მუსიკასთან დაბრუნებით გახარებულია:

– ამ ბოლო დროს ბევრი ქართველი შემსრულებლის კონცერტზე ვიყავი და ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ქართველი მსმენელი დაუბრუნდა ქართულ მუსიკას და პერეანშლაგია ყველა კონცერტზე!

ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის! თქვენ ხართ ჩვენი სტიმული და მადლობა ამისთვის! ვიცი, სექტემბრიდან ბევრი ახალი სიმღერა გამოვა, ყველა მომღერალი მოტივირებულია, გააკეთოს ახალი და ეს იქნება აუცილებლად! წარმატებები, მეგობრებო!

# რომან გოცირიძე ბიონსესთან ერთად ემტივის ეთერში მოხვდა

ქართველი პარლამენტარი რომან გოცირიძე ემტივის ეთერში, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო ვარსკვლავ ბიონსესთან ერთად აღმოჩნდა.




„ემტივი ავსტრალიამ" სპეციალური ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც მსოფლიო ვარსკვლავების ჯეი-ზისა და ბიონსეს ტყუპების დაბადებაზე ისაუბრა. წამყვანმა ტელემაყურებელს გააცნო ინფორმაცია, რომ სანამ მომღერალი და რეპერი ახლადდაბადებული ტყუპების შესახებ ინფორმაციას გაავრცელებდნენ, მათ ამ სასიხარულო ამბის გაჟღერება ბიონსეს მამამ დაასწრო, რის გამოც სოციალურ ქსელებში კრიტიკა დაიმსახურა.

– მამებისთვის ძალიან რთულია „ინსტაგრამზე" ყოფნა. მათ სურთ იმდენი ლაიქი, რამდენის მოპოვებასაც შეძლებენ, – განაცხადა ემტივის წამყვანმა და სწორედ ამ დროს ეკრანზე გამოჩნდა რომან გოცირიძის ცნობილი სელფი, რომლის გადაღებასაც ის პარლამენტში ცდილობდა.

ამ ვიდეოს რომან გოცირიძეც გამოეხმაურა:

– ისეთი ამბები ხდება, რომელიც არ ღირსებია საქართველის პარლამენტს. მსოფლიოს ყველა დიდმა საიტმა ხომ გაავრცელა და მილიონობით ნახვა აქვს, აგერ ავსტრალიის ემტივიშიც მოვხვდი ბიონსესა და ჯეი-ზის ამბის შემდეგ. ამათ კიდევ ეგონათ, რომ შავ პიარს მიგორებდნენ.

# ოტია იოსელიანი 87 წლის გახდებოდა



მწერალი ოტია იოსელიანი 87 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე მშობლიურ სოფელ გვიშტიბში მის საფლავზე შეკრებით აღინიშნა.

– ამ მდუღარეგადასხმულ ჩემს ბიოგრაფიაში, – წერს ოტია იოსელიანი, – ვერცერთი ნათელი დღე ვერ გამოვძებნე. რაც არ იყო, რას გამოძებნი. ყურმოკრული მაქვს, თითქოს ჰემინგუეის უთქვამს, მწერლის აკადემია უბედური ბავშვობააო. ჩინებულად მაქვს დამთავრებული ეს აკადემია.

ოტია იოსელიანი 6 წლის წინ გარდაიცვალა. მწერალი, თავისივე ანდერძის თანახმად, მის საკუთარ ეზოში დაკრძალეს.

მოთხრობების გამოქვეყნება მან ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. მოთხრობების პირველი კრებული „კარის მეზობლები" იყო. ოტია იოსელიანი მუშაობდა როგორც ნოველისტიკაში, ისე რომანის ჟანრში, წერდა პიესებსა და კინოსცენარებს. მისი რომანების მთავარი თემა ომია.

მწერალმა ათამდე პიესა დაწერა. მათგან რამდენიმე სხვადასხვა თეატრის სცენებზე დაიდგა. მაყურებელში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა, მოგვიანებით კი ეს პიესა პატიმარი ქალბატონების მონაწილეობითაც განხორციელდა, სადაც მამაკაცის როლი გივი ბერიკაშვილმა შეასრულა.

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში ცალკე ადგილი უკავია საბავშვო თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს. მისი „დაჩის ზღაპრები" ყველა პატარისთვის კარგად არის ცნობილი.

მწერლის 80 წლის იუბილე თბილისში დიდი შემოქმედებითი საღამოთი აღინიშნა. მსახიობის სახლში გამართულ ღონისძიებაზე მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, რიგითმა მკითხველებმა მოიყარეს თავი.

ოტია იოსელიანის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულად, უკრაინულად, ბელორუსულად, ჩეხურად, ესტონურად, ლატვიურად, ლიტვურად, პოლონურად, მოლდავურად, ესპანურად, ინგლისურად, ბენგალურად, ჰინდისა და ურდუს ენებზე, სპარსულად, არაბულად, ფრანგულად, გერმანულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ჰოლანდიურად, ჩინურად, იაპონურად... საერთო ტირაჟით, მილიონამდე.

# ვარდისუბნის „ნათლისმცემლის" ეკლესიის რეაბილიტაცია დაიწყო



კახეთში ვარდისუბნის „ნათლისმცემლის" ეკლესიის რეაბილიტაცია დაიწყო.

ძეგლი მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარდისუბნიდან სამხრეთით, ხევის პირას ეკლესია „დეკანოზურის" მახლობლად. იგი წარმოადგენს საშუალო ზომის დარბაზულ ნაგებობას დასავლეთის მინაშენით, რომელიც ნაგებია დიდი და საშუალო ზომის რიყისა და ქვიშაქვით კირის დუღაბზე.

ეკლესია საგრძნობლად არის დაზიანებული, თითქმის აღარ აქვს შერჩენილი სახურავი, ჩამონგრეულია დასავლეთისა და სამხრეთის კარების ხის არქიტრავები, დაკარგულია კარების დირეები, თითქმის არ არის შემორჩენილი კარნიზები, დასავლეთის კარის თავზე გაჩენილია გამჭოლი ვერტიკალური ბზარი.

წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდთან ერთად სოფელ ვარდისუბნის „ნათლისმცემლის" ეკლესიის რეაბილიტაცია დაიწყო.

რეაბილიტაციის ფარგლებში ჩასატარებელია შემდეგი ტიპის სამუშაოები: უნდა გაიწმინდოს ეკალ-ბარდებისაგან, მოიხსნას ძველი კრამიტი და გადაიხუროს მეორადი ქართული კახური კრამიტით, გადაეწყოს მორყეული ქვის წყობა პროექტში მინიშნებულ ადგილებში, შეივსოს ნაკლული ქვის წყობა ფასადზე, ეკლესიას გაუკეთდეს ექვს რიგად აგურის კარნიზი, ხოლო მინაშენს – ორ რიგად, აღდგეს მინაშენის კარის თავზე ტიმპანი, იატაკზე დაიგოს შერჩეული რიყის ქვა კირდუღაბზე, ძეგლის გარშემო დაიყაროს ხრეში და მოიბელტოს.

# ჩამოშლილი სვანური კოშკი აღდგება

სვანეთში, სოფელ ჩვიბიანში, 22 ივნისს ჩამოშლილი სვანური კოშკი აღდგება. კოშკს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მიმდინარე წელსვე აღადგენს.

სააგენტოს სპეციალისტები ძეგლის პირველადი დათვალიერების შედეგად ადგილზევე დაადგენენ დაზიანების ხარისხსა და გადაუდებელი სამუშაოების ნუსხას. სვანეთში მივლინებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფი კიდევ უფრო საფუძვლიანად შეისწავლის საგვარეულო კოშკის ნგრევის მიზეზებს, განახორციელებს ჩამოშლილი ნაგებობის აზომვებსა და კოშკის რეაბილიტაციის პროექტირებისთვის სპეციალურ ანგარიშს მოამზადებს. მალევე დაიწყება გაწმენდითი სამუშაოები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წინასწარი დასკვნის თანახმად, სოფელ ჩვიბიანში ჩარკვიანების საგვარეულო კოშკის ნგრევის მიზეზი მკაცრი კლიმატური პირობებით გამოწვეული მისი ამორტიზებულობა გახდა. ზოგადად, სვანური კოშკების მნიშვნელოვანი ნაწილის კრიტიკული მდგომარეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათზე სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განუხორციელებლობას უკავშირდება. ამ პირობებში სააგენტოსთვის რთულად განსასაზღვრი იყო კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები, რათა 22 ივნისს მიღებული შედეგი თავიდან ყოფილიყო აცილებული.

სვანური კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოს დეკლარირებულად აქვს აღიარებული. ამ სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უკვე დაწყებული აქვს სოფელ ჩაჟაშის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ყოვლისმომცველი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამავდროულად, განვლილი 3 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ მესტიის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში უკვე რეაბილიტირებულია 70-მდე სვანური კოშკი და მაჩუბი.

სოფელ ჩვიბიანში დაგეგმილი რეაბილიტაციის პროექტიც ამ გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მომდევნო წლებში აუცილებლად განხორციელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## კალეიდოსკოპი

### ბელგია ევროკომისიას ტრადიციული კარტოფილი ფრის აკრძალვის მცდელობაში ადანაშაულებს

ბელგიელმა პოლიტიკოსებმა ევროპის კომისია ქვეყნის ეროვნული კერძის კარტოფილი ფრის აკრძალვის მცდელობაში დაადანაშაულეს. მათ ამ ფაქტს ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული უწოდეს.



ევროკომისიის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ კარტოფილის შეწვისას გარკვეულ პირობებში და ტემპერატურაზე წარმოიქმნება კანცეროგენი – აკრილამიდი. მათ წამოაყენეს წინადადება, კარტოფილის ბოლქვები მომზადების წინ ორთქლით ან მდუღარე წყლით დამუშავდეს. ბელგიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი ნაბიჯი კერძს ტრადიციულ გემოს დაუკარგავს.

ბელგიის სამეფოს ტურიზმის მინისტრმა ბენ ვეიტსმა ევროკომისიას მოუწოდა, დაფიქრდეს ბელგიის კულტურულ მემკვიდრეობაზე.

– მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არ ღირს ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ჩვენი მდიდარი გასტრონომიული ტრადიციებისთვის შორს მიმავალ შედეგებს გამოიღებს, – დაწერა ევროკომისიის კომისარის ვიტენის ანდრიუკაიტისისთვის გაგზავნილ წერილში ბენ ვეიტსმა.

### ცხოველთა დამცველებმა პატრონს 10 წლის დაკარგული კატა დაუბრუნეს

კანადის პროვინცია მანიტობას ქალაქ ვინიპეგში ცხოველთა დამცველებმა პატრონს დაუბრუნეს კატა, რომელიც 10 წელზე მეტი ხნის წინ დაიკარგა.



ცხოველთა დაცვის საზოგადოების თანამშრომლებმა ყურადღება მიაქციეს უპატრონო კატას, რომელიც მათ მოქალაქეებმა მიუყვანეს. მას ჰქონდა ამოსვირინგებული სახელი, ტელეფონის ნომერი და მისამართი. მართალია სვირინგი ძალიან იყო გაფერმკრთალებული, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს მისი წაკითხვა.

კატა იმდენად დიდი ხნის წინ დაიკარგა, რომ მისი პატრონი ქალბატონი უკვე სხვაგან იყო გადასული საცხოვრებლად, ტელეფონის ნომერიც შეცვლილი ჰქონდა და გათხოვებაც მოესწრო. ამის მიუხედავად, ცხოველთა დამცველებმა მის ნათესავთან დაკავშირება მოახერხეს და მან ინფორმაცია საჭირო მისამართზე გადააგზავნა.

ქალი მეორე დღესვე მივიდა ცხოველთა თავშესაფარში. მის დანახვაზე კატამ კნავილი შეწყვიტა და სრულიად დამშვიდდა.

– მან დამყნოსა და მაშინვე მომეკრა, თითქოსდა გავახსენდი, – განაცხადა კატის პატრონმა და იქვე დასძინა, – უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ის დავიბრუნე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ოჩშაბათი 26 ივნისი**

**07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 03.40** C-სტუდია **16.30** "დღე მუზეუმში" **17.00, 04.40** "რეალური სივრცე" **18.30** "ზღვარზე" ტელებლოგში **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **00.00** მხ/ფ "**მარიამი - შოტლანდიელთა დედოფალი**" (ვ.რედგრეივი) **02.05** მხ/ფ "**უსახელო**"

**08.00** დოკ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **09.00** დოკ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" **10.00** დოკ/ფ "იაპონია" იმპერატორი და ჯარი" **10.45** დოკ/ფ "აღშფოთდით" **12.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" **15.00** დოკ/ფ "ფერების სამყარო" **17.00** დოკ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **18.00** დოკ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**შეუჩერებელნი**" **01.00** მხ/ფ "**ტერმინალი**" **03.20** მხ/ფ "**თავდაუზოგავი**"

**06.00, 18.45** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 20.03** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** X-ფაქტორი

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**მოტივი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**პანდას ნაკვალევი**" **0.10** მხ/ფ "**ტერნერი და ჰუჩი**" **2.05** მხ/ფ "**ქალღების სიყვარული სავალდებულოა**" **4.00** მხ/ფ "**ტოსკანის მზის ქვეშ**" **6.05** მხ/ფ "**კაზანოვა**"

**08.00** დოკ/ფ "ცხოვრება ტრანსფორმაციაში"IV ნაწ. **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** პანორამა **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.30** ახალი ამბები **11.25** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XI ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 03.50** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.20** Hellow თბილისი **18.00, 0.00** ფაბრიკა **20.00, 02.45** პრიორიტეტი **21.10** კიჭილიქსი **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**ბრმა პაემანი**"

**06.15** ღვთის სახლი-"ანაკლია-ახალი ათონი" **06.35** პატერიკი-გარეჯელ მამათა მეოხება **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ჩრდილი გზაზე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "თოჯინები-ნანა ბედიაშვილი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ველური ბუნება"-ცაში მოლივლივე არსებები **15.55** სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**" I, II **17.30** კლასიკა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "მეფუტკრე კვაშტადან" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-მკვდრეთით აღმდგარის შესახებ **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ოლღა გურამიშვილი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ივერიის ეკლესია "დიდი მოძრაობა ავტოკეფალიის აღსადგენად" **00.30** მოკ. მხ/ფ "**ბელა**" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4110

ევრო — 2.6921

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0690

100 რუსული რუბლი — 4.0425

## ამინდის პროგნოზი 26 ივნისისთვის





**27 ივნისიდან**

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**






**21 ივნისიდან**

ილია ილფი
ევგენი პეტროვი

**თორმეტი სკამი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ ხარ უხასიათოდ?

– გუშინ სამსახურიდან გამათავისუფლეს.

– რატომ?

– ინტერნეტში ერთი ანეკდოტის კომენტარი გავაკეთე. ამაზე ერთმა სულელმა კომენტარი გააკეთა, მერე მე ვუპასუხე, მერე იმან, ასე შეყევით და მისი არც ოჯახის წევრები და არც ნათესავ-ახლობლები არ დავუტოვე მოუკითხავი. ამ დროს ჩვენი განყოფილების უფროსი მომპარვია უკნიდან და თურმე ჩემი კომპიუტერის მონიტორს მისჩერებია.

– აჰა, გასაგებია, სამუშაოს დროს სხვა საქმით რომ იყავი დაკავებული, მაგიტომ გაგათავისუფლა, ხომ?

– არა, მასე ყველა თანამშრომელი უნდა გაეთავისუფლებინა.

– აბა, მაშინ რისთვის?

– უბრალოდ, ის სულელი ის აღმოჩნდა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მგონი, ებრაელი ვარ.

– რატომ?

– შაბათობით მუშაობას ვერ ვახერხებ!

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, სავარჯიშო დარბაზში დადიხარ და დაწოლილი რამდენკილოგრამიანი შტანგის აწევას ახერხებ?

– ორასის.

– მართლა? კაცმა რომ შეგხედოს, ვერ დაიჯერებს.

– ერთი კვირის განმავლობაში, ჯამში.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– არა, ძმაო, სექსი ძალიან სახიფათო რამეა.

– რატომ?

– აბა, შენ თვითონ იფიქრე, საბჭოთა კავშირში სექსი არ იყო, მაგრამ, როგორც კი გაჩნდა, საბჭოთა კავშირი გაქრა.

●●●

ქვეყანაში განათლების სისტემის გაუარესების გამო იზრდება არა უტვინოების რაოდენობა, არამედ ეცემა მათი ხარისხი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





**29 ივნისიდან**

ონორე დე ბალზაკი

**ოცდაათი წლის ქალი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


# ბორჯღალოსანთა გაორებული თამაში არგენტინასთან

**არგენტინა-საქართველო 45:29**



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ივნისის ტესტები 2 მოგებითა და 1 წაგებით დაასრულა, ბოლო, მე-3 მატჩი არგენტინასთან გამართა და 29:45 დამარცხდა.

ბორჯღალოსნებს პუმებთან აქამდე გამართულ 4 მატჩში სულ 1 ლელო ჰქონდათ დადებული, ამჯერად კი არგენტინას ბურთი 4-ჯერ დაუმიწეს, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

წაგების მიზეზიც უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ: საქართველოს ნაკრები უდისციპლინოთ გამოირჩეოდა, ძალიან სუსტად ითამაშა დაცვაში, ვერ გამოვიყენეთ რიცხობრივი უპირატესობა (მეტიც, ეს მონაკვეთი 0:6 წავაგეთ) და ეს ყველაფერი ვერ გადაფარა შერკინებაში კარგმა თამაშა და დროდადრო გამონათებებმა.

ჩვენ მსგავსად, არგენტინის შერკინებასაც საქვეყნოდ აქვს სახელი განთქმული, მაგრამ ამ კომპონენტში ბორჯღალოსნებმა მასპინძლები სრულად დაჯაბნეს და უმეტეს შემთხვევებში მეტოქეს დაჯარიმება აიძულეს. 4 ლელოდან ორი სწორედ შერკინებამ გამოიმუშავა, ორი კი ხაზის მოთამაშეებმა დადეს.

მოკლედ, საქართველოს ნაკრებმა არგენტინასთან გაორებული შთაბეჭდილება დატოვა...

არგენტინა ქვეყნის ჩრდილოეთით, ქალაქ ხუხუიში რაგბის პირველად თამაშობდა და სტადიონზე მაყურებელი მრავლად მივიდა. მეტოქე ჩვენთან შეხვედრას დიდი სიფრთხილით მიუდგა, უძლიერესი შემადგენლობით დაგვიხვდა და ჯარიმები კარში ურტყა. სწორედ ჯარიმების ხარჯზე შეძლეს პუმებმა პირველ ტაიმში უპირატესობის მოპოვება.

პირველ ტაიმში ხშირად ვჯარიმდებოდით, რითაც კარგად ისარგებლა არგენტინელთა მგეზავმა ნიკოლას სანჩესმა. მისი 5 დარტყმულიდან 4 ზუსტი იყო. მე-16 წუთისთვის ორჯერ შეძლო ბურთის ძელებშუა გაძვრენა და მასპინძლები 6:0 დააწინაურა. მე-20 წუთზე ჯარიმა ჩვენმა შერკინებამ გამოიმუშავა და მერაბ კვირიკაშვილი გასატანი პოზიციიდან არ შეცდა.


**გაგრძელება მე-9 გვერდზე**


## ყველაზე დიდმკერდიანი ქალი დუნდულების გაზრდას აპირებს

გერმანელმა ქალბატონმა მარტინა ბიგმა, რომელიც ევროპაში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელადაა მიჩნეული, გადაწყვიტა, დუნდულების მოცულობა გაიზარდოს.



– მე მჭირდება უკანალი, რომელიც ჩემი მკერდის შესაფერისი იქნება, – განაცხადა ქალმა.

იმისთვის, რომ დუნდულების ზომა განესაზღვრა, ქალმა საჰაერო ბუშტები ტანსაცმლის ქვეშ მოათავსა და მათი წყლით გავსებას შეუდგა. ექსპერიმენტების საშუალებით მარტინამ დაადგინა, რომ მისი თითოეული დუნდულის მოცულობა მინიმუმ ათას ხუთას კუბურ სანტიმეტრს უნდა შეადგენდეს.

რეალიტი-შოუმ Botched-მა, რომელშიც მარტინა მონაწილეობს, ის პლასტიკურ ქირურგებს პოლ ნასიფსა და ტერი დაბროუს შეახვედრა. მათ მოახერხეს, ქალი დაერწმუნებინათ, რომ მისი იდეა არარეალური იყო. დაბროუმ მას აჩვენა, რომ ასეთ იმპლატანტზე დაჯდომის შემთხვევაში, ის მას მაშინვე გასრესს. მარტინა დაეთანხმა, რომ რაიმე ნაკლებად ექსტრემალური სჭირდებოდა, თუმცა მისი საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე არაფერია ცნობილი.

## ამერიკელმა პოლიციელმა მანქანაში დატოვებული ჩვილი გადაარჩინა

ამერიკის ინდიანის შტატში პოლიციის ადგილობრივი განყოფილების თანამშრომელმა გაჩერებული ავტომობილის მინა ჩაამტვრია, რომელშიც ოთხი თვის ბავშვი იმყოფებოდა.



მომხდარის ვიდეოჩანაწერი ეი-ბი-სი ნიუსმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ვიდეორგოლმა ერთ დღეში 450-ზე მეტი მოწონება მიიღო.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, ბავშვი მზეზე მდგომ ავტომობილში ორი საათის განმავლობაში იყო ჩაკეტილი. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არაფერია ცნობილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ამერიკული მუსიკალური ჟანრი; 7. სიძნელეებთან მარჯვედ შეგუება; 8. საჭადრაკო ამოცანა; 10. ბედ-იღბალი; 11. თანხმობა, ერთსულოვნება; 13. სატელევიზიო გადამცემი მილაკი; 16. დასამტკიცებელი დებულება ლოგიკაში; 19. შურისძიების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 20. კბილის ექიმი (მოძვ.);

**შვეულად:** 1. სახუმარო ოპერა ნასესხები მუსიკით; 2. მუზეუმი მადრიდში; 3. ბანქოს გაშლა გარკვეული წესით; 4. პირველობა, უპირატესი მდგომარეობა; 5. სანადირო ძაღლის ჯიში; 9. იაპონური ავტომარკა; 12. თიხა-კირქვისგან შემდგარი ნალექი ქანი; 14. აუხდენელი ოცნება; 15. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 17. ნაღველი, კაეშანი; 18. ... მაკდაუელი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

